

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ქეთევან ედიბერიძე

ადამიანის ამნიონისა და ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისაგან  
ჭრილობის ბიოლოგიურად აქტიური საფენის შექმნა და მისი გამოყენება  
სხივური თერაპიის შემდგომ განვითარებული შეუხორცებადი  
ჭრილობის სამკურნალოდ

## დისერტაცია

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად



თბილისი

2024

სადისერტაციო ნამუშევარი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და პრე-კლინიკური ანატომიის დეპარტამენტის ლაბორატორიაში.

### **სამეცნიერო ხელმძღვანელები:**

**კონსტანტინე მარდალეიშვილი** - თსსუ-ის ემერიტუსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**დავით ჩახუნაშვილი** - თსსუ-ის ექსპერიმენტული და პრე-კლინიკური ანატომიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი.

### **ექსპერტები:**

**ნოდარ ლომიძე** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსსუ ემერიტუსი.

**რემა ლვამიჩავა** - თსსუ ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.

**გიორგი დიდავა** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსსუ პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

დისერტაციის აპრობაცია შედგა 2024 წლის 21 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და პრე-კლინიკური ანატომიის, კლინიკური ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტების და საქართველოს ექიმთა ასოციაციის გაერთიანებულ სხდომაზე.

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ვაჟა-ფშაველას გამზ. #29).

დისერტაციის დაცვა შედგება 5 დეკემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის N1 საკონფერენციო დარბაზში.

# Tbilisi State Medical University

Ketevan Ediberidze

Creating a Biologically Active Wound Dressing from Human Amnion and Bone  
Marrow Stem Cells and its Use for the Treatment of Non-healing Wounds that  
Developed after the Radiation Therapy

Thesis of Scientific Study for the Academic PhD Degree

In Medicine



Tbilisi

2024

The scientific study was completed at the laboratory of Department of Experimental and Pre-Clinical Anatomy at Tbilisi State Medical University.

**Scientific Tutors of Research:**

**Konstantine Mardaleishvili** - TSMU Emeritus, Professor, MD, PhD.

**David Chakhunashvili** - TSMU Assistant Professor of Experimental and Pre - Clinical Anatomy Department, MD, PhD.

**Experts:**

**Nodar Lomidze** – MD, PhD, Professor, TSMU Emeritus.

**Rema Gvamichava** – MD, PhD, Professor, Head of the Department of Oncology of TSMU.

**Giorgi Didava** – MD, PhD, Professor, Associated Professor of Anatomic Pathology of TSMU.

The scientific data were approved at the joint meeting of Department of Experimental and Pre-Clinical Ana-my, Department of Clinical Ana-my and Operative Surgery Departments and Georgian Medical Assosiation at TSMU on June 21<sup>th</sup>.

The scientific study is available at the library of Tbilisi State Medical University (Vazha-Pshavela Ave # 29).

Defending PhD thesis will take place on December 5, at Tbilisi State Medical University, conference hall N1.

<b>სარჩევი</b>	
შემოკლებათა განმარტებანი.....	7
თავი I.....	8
შესავალი.....	8
1.1 პრობლემის მიმოხილვა .....	8
<b>1.2 თემის აქტუალობა .....</b>	9
1.3 მეცნიერული სიახლე.....	10
1.4 კვლევის მიზანი .....	11
1.5 კვლევის ამოცანები .....	12
1.6 პუბლიკაციები .....	12
თავი II .....	14
ლიტერატურის მიმოხილვა .....	14
2.1 ქრონიკული ქრილობის ეპიდემიოლოგია და პათოგენეზი.....	14
2.2 ქრონიკული ქრილობის განმაპირობებელი მეტაბოლური დარღვევები .....	20
2.3 ქრონიკული ქრილობის პათოგენეზი .....	21
2.4 ქრონიკულ ქრილობაში მიკროსისხლძარღვების დაზიანება და ქსოვილების ჰიპოექსიის განვითარება .....	23
2.5 ქრონიკული შეუხორცებადი ქრილობის მკურნალობის მეთოდები .....	24
2. 6 ქრონიკული ქრილობის სამკურნალო საფენების ძირითადი სახეები .....	25
<b>2.6.1 ჰიდროგელის საფენები .....</b>	26
2.6.2 ალგინატზე დამზადებული ჰიდროგელი.....	27
2.6.3 ქიტოსანზე დამზადებული ჰიდროგელი.....	27
2.6.4 ბიოლოგიურად აქტიური ჰიდროგელი.....	27
2.7 ღეროვანი უჯრედების და ზრდის ფაქტორების როლი ქრონიკული ქრილობების მკურნალობაში .....	28
2.8 ამნიონური მემბრანის გამოყენება ქრონიკული ქრილობის სამკურნალოდ .....	29
2.9 სხივური თერაპიით გამოწვეული შეუხორცებადი ქრილობის მკურნალობის მეთოდები ...	30
თავი III .....	33
მასალა და მეთოდები.....	33
3.1 ადამიანის ამნიონისაგან ბიოლოგიურად შეთავსებადი სამგანზომილებიანი სკაფორდის (მატრიქსის) შექმნის მეთოდი .....	33
3. 2 ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მიღების ოპტიმიზაცია. ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების რაოდენობის და მათი სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრა.....	38
3. 3 ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მოთავსების მეთოდის შემუშავება ადამიანის ამნიონისაგან მიღებულ დეცელულარიზებულ სამგანზომილებიან მატრიქსზე და შესასაბამისად, ბიოლოგიურად აქტიური მემბრანის შექმნა .....	40

3. 4 დასხივებით გამოწვეული მესამე ხარისხის დამწვრობის ჭრილობის მოდელირება და ბიოლოგიურად აქტიური ჭრილობის გამოყენება .....	42
3. 5 ანატომიური კვლევის მეთოდები.....	44
3. 6 ჰისტოლოგიური და იმუნოპისტოლოგიური კვლევის მეთოდები .....	45
3. 7 ადამიანის ამნიონური მემბრანის სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპია დეცელულარიზაციამდე და დეცელულარიზაციის შემდეგ.....	45
3. 8 ჭრილობის შეხორცების პარამეტრების აღრიცხვა დინამიკაში პლანიმეტრიული მეთოდის გამოყენებით. ....	46
3. 9 კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება.....	46
<b>თავი IV.....</b>	<b>47</b>
4. 1 კვლევის შედეგები .....	.47
4.2 კვლევის შედეგების განხილვა .....	.81
<b>თავი V.....</b>	<b>84</b>
5.1 სამეცნიერო დასკვნები .....	.85
5.2 პრაქტიკული რეკომენდაციები .....	.85
<b>თავი VI.....</b>	<b>86</b>
გამოყენებული ლიტერატურა .....	.86
<b>თავი VII .....</b>	<b>103</b>
<b>თეზისი .....</b>	<b>103</b>

## შემოკლებათა განმარტებანი

APACHE - მწვავე ფიზიოლოგიისა და ქრონიკული ჯანმრთელობის შეფასება

ECM - ექსტრაუჯრედული მატრიქსი

EGF - ეპიდერმული ზრდის ფაქტორი

FGF - ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორი

GM-CSF - გრანულოციტული მაკროფაგ - კოლონიამასტიმულირებელი ფაქტორი

HA - ჰიალურონის მჟავა

HGF - ჰეპატოციტების ზრდის ფაქტორი

IL - ინტერლეიკინი

KGF - კერატინოციტების ზრდის ფაქტორი

MMP - მატრიქსული მეტალოპროტეინაზები

NO - აზოტის ოქსიდი

PEG - პოლიეთილენგლიკოლი

PDGF - ზრდის თრომბოციტული ფაქტორი

PBS - ფოსფატ-მარილოვანი ბუფერული ხსნარი

SDS - ნატრიუმის დოდეცილ სულფატი

TGF- $\beta$  - ტრანსფორმაციული  $\beta$ -ზრდის ფაქტორი

TNF - სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი

VEGF - სისხლძარღვთა ენდოთელიუმის ზრდის ფაქტორი

ECM - ექსტრაცელულარული მატრიქსი

MMP - მატრიქსული მეტალოპროტეინაზები

## თავი I

### შესავალი

#### 1.1 პრობლემის მიმოხილვა

სამედიცინო სფერო უამრავი გამოწვევის წინაშე დგას, ჯერ კიდევ, მრავალი პრობლემა საჭიროებს გადაწყვეტას, მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ქრონიკული შეუხორცებადი ჭრილობების წინააღმდეგ ბრძოლაა. მსოფლიოში უამრავი ადამიანი იტანჯება ამ დაავადებით. ქრონიკული შეუხორცებადი ჭრილობის რამდენიმე კატეგორია არსებობს, სხივური თერაპიის შემდგომ განვითარებული ჭრილობა - ქრონიკული შეუხორცებადი ჭრილობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.

სხივური თერაპია სიმსივნის მკურნალობის ერთ - ერთი ეფექტიანი მეთოდია. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მონოთერაპიის, ასევე, სხვა სამკურნალო საშუალებებთან კომბინაციის სახით. მკურნალობის სხვადასხვა საშუალებებს კი, ქიმიოთერაპია და ქირურგიული ჩარევა წარმოადგენს. სხივური თერაპიის ძირითადი მიზანია სიმსივნური უჯრედების განადგურება ან მათი ზრდის დათრგუნვა. უმეტეს შემთხვევაში, მკურნალობის ეს მეთოდი უმტკივნეულო პროცედურაა, თუმცა, თერაპიის დროს, ზოგჯერ, სიმსივნურ უჯრედებთან ერთად, ზიანდება და მკვეთრად ირღვევა სიმსივნის ირგვლივ მდებარე ნორმალური ქსოვილის სტრუქტურა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს რიგი გართულებები, მათ შორის, კანის ატროფია, რბილი ქსოვილების ფიბროზი, ეპითელური წყლულები და სხვა. სხივური თერაპიის შემდგომ განვითარებული გართულებები გვხვდება ქირურგიული პაციენტების 60%-ში. დასხივებულ ქსოვილზე ქირურგიული პროცედურების ჩატარების შედეგად შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ქრონიკული, არაშეხორცებადი ჭრილობები.

სხივური თერაპიის შედეგად განვითარებული ქრონიკული შეუხორცებადი ჭრილობის ეფექტიანად მკურნალობა, ასევე, დიდი გამოწვევა. ამ ტიპის ჭრილობების სამკურნალოდ გამოიყენება სხვადასხვა კონსერვატული და ქირურგიული მეთოდი. კონსერვატული მეთოდები, ძირითადად უმტკივნეულო და უსაფრთხოა, თუმცა მათი

გამოყენებით, ხშირ შემთხვევაში, ვერ მიიღწევა სასურველი შედეგი, რაც შეეხება ქირურგიული მეთოდებს, ამ ტიპის მკურნალობისთვის გამოიყენება კანის, ფასციის, კუნთებისა და ლორწოვანი გარსიდან მოპოვებული ადგილობრივი ან რეგიონალური ქსოვილის ნაფლეთები. ამ სახის ტრანსპლანტაციებს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები ახასიათებს. ადგილობრივი ქსოვილების გადანერგვა შეიძლება იყოს არაეფექტური, რადგან, დასხივებამ შესაძლებელია ირგვლივმდებარე ქსოვილების დაზიანება და მისი სტრუქტურის შეცვლა გამოიწვიოს, ხოლო, აღნიშნული ნაფლეთის გადანერგვამ, შესაძლებელია, ჭრილობის ირგვლივ არსებული ქსოვილების ფიბროზული გარდაქმნის რისკის მატებას შეუწყოს ხელი. ჭრილობის რეკონსტრუქციის დროს ადგილობრივმა ქსოვილებმა შეიძლება განაპირობოს ნაფლეთის გარშემო კანის ნეკროზი და თვითონ ნაფლეთის ქსოვილის ნეკროზიც კი. ამის გამო, ქრონიკული შეუხორცებადი ჭრილობების ქირურგიულ მკურნალობაში უპირატესობა ენიჭება რეგიონალურ ნაფლეთებს, რომლებიც წარმოდგენილია კუნთოვანი, კან-კუნთოვანი ნაფლეთების სახით, ასევე ნაფლეთებით სისხლძარღვოვანი ფეხით. მართალია, მკურნალობის ეს მეთოდი საკმაოდ ეფექტურია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის ოპერაციები რთულად შესრულებადია, მოითხოვს კვალიფიციური პერსონალის ჩართულობას, არის ძვირადღირებული.

ბოლო წლებში ბიოინჟინერიის მეთოდების სწრაფმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა შექმნილიყო სხვადასხვა სახის ეფექტური ბიოლოგიურად აქტიური და ფუნქციური საფენები ქრონიკული, შეუხორცებადი ჭრილობების სამკურნალოდ. ისინი წარმოდგენილია სამგანზომილებიანი კოლაგენური მატრიქსით, რომელიც დატვირთულია ბიოაქტიური მოლეკულებით. აღნიშნული საფენები ხელს უწყობენ ჭრილობაში უჯრედების სწრაფ პროლიფერაციას, აძლიერებენ ანგიოგენეზს და აჩქარებენ ჭრილობის ეპითელიზაციას.

## 1.2 თემის აქტუალობა

ქრონიკული შეუხორცებადი ჭრილობის ეფექტური მკურნალობის მეთოდების შემუშავება დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ქრონიკულ, შეუხორცებად ჭრილობებს მიეკუთვნება: დიაბეტური წყლული, ვენური და არტერიული

უკმარისობით გამოწვეული წყლულები, ნაწოლები, ასევე, სხივური თერაპიის შემდგომ წარმოქმნილი ჭრილობა.

ქრონიკული შეუხორცებადი ჭრილობის წარმოქმნა, სამწუხაროდ, სხივური თერაპიის ერთ-ერთი ხშირი გართულებაა, აღნიშნული პრობლემა იწვევს პაციენტის მდგომარეობის დამძიმებას, ცხოვრების ხარისხის გაუარესებას, კლინიკაში საწოლდღეების გაზრდას, შესაბამისად, ამ პრობლემის გადასაჭრელად იხარჯება უამრავი ადამიანური და მატერიალური რესურსი.

წლების განმავლობაში იქმნება და იხვეწება ქრონიკული შეუხორცებადი ჭრილობის მკურნალობის მეთოდები. თანამედროვე მსოფლიოში, სხივური თერაპიის შემდგომ წარმოქმნილი ჭრილობის სამკურნალოდ ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახის კონსერვატული და ქირურგიული მეთოდები: კანის, ფასციის, კუნთებისა და ლორწოვანი გარსიდან მოპოვებული ადგილობრივი და რეგიონალური ქსოვილის ნაფლეთები, ასევე სხვადასხვა ტიპის ბიოლოგიური, ბიოსინთეტიკური და სინთეტიკური საფენები. მკურნალობის თითოეულ ამ მეთოდს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. გამომდინარე აქედან, დიდია ინტერესი შეიქმნას მკურნალობის ეფექტიანი, დახვეწილი მეთოდი.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიოინჟინერული მეთოდების გამოყენებას და უკვე არსებული მკურნალობის მეთოდების დახვეწას, კერძოდ კი, ქრონიკული ჭრილობის სამკურნალო ისეთი ნახვევის შექმნას, რომელიც თავისი თვისებებით მიახლოებული იქნება იდეალურ მემბრანასთან და ქრონიკულ ჭრილობის წარმოქმნასთან დაკავშირებული ყველა ტიპის გართულების ეფექტიანად გადაჭრას უზრუნველყოფს.

### 1.3 მეცნიერული სიახლე

ადამიანის ამნიონურ მემბრანას განსაკუთრებული სტრუქტურა აქვს და ანთებისსაწინააღმდეგო, ანტიფიბროზული, ანტიმიკრობული და ტკივილგამაყუჩებელი თვისებები ახასიათებს, რაც დაკავშირებულია ბიოლოგიურად აქტიური მოლეკულების სინთეზისა და გამოყოფის შესაძლებლობასთან, ამის გამო, მისგან დამზადებული ბიოლოგიური საფენები აქტიურად გამოიყენება ქრონიკული

ჭრილობების სამკურნალოდ. [86, 87]. ქრონიკული ჭრილობების სამკურნალოდ ადამიანის ამნიონური მემბრანის გამოყენებას მნიშვნელოვანი ბენეფიტები აქვს, კერძოდ, მისი გამოყენება არ იწვევს მოცილებას, ინარჩუნებს ტენიან გარემოს, აქვს დაბალი იმუნოგენურობა და არ იწვევს უჯრედების უკონტროლო გამრავლებას [90].

მეორეს მხრის, ღეროვანი უჯრედები ასტიმულირებენ გრანულაციას, ანგიოგენეზს, ეპითელიზაციის პროცესს და ახალი ქსოვილების წარმოქმნას. გარდა ამისა, ღეროვანი უჯრედები ხელს უწყობენ რეგენერაციას პროლიფერაციის ფაზის დროს და იწვევენ ექსტრაცელულარული მატრიქსის წარმოქმნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაჩნდა მოსაზრება, რომ ადამიანის ამნიონისა და ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისაგან, ბიონურული მეთოდების გამოყენებით შეგვექმნა ბიოლოგიურად აქტიური საფენი (GEO მემბრანა).

ექსპერიმენტში ცხოველებზე დადასტურდა, რომ დეცელულარიზირებული და ლიოფილიზირებული ადამიანის ამნიონური მემბრანისა და ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისაგან შექმნილი ბიოლოგიურად აქტიური საფენი, თავისი თვისებებით, ახლოს არის იდეალურ მემბრანასთან, კერძოდ, მისი უპირატესობებია: ბიოშეთავსებადობა და კარგი ბიორეაბსორბცია, ანთებისსაწინააღმდეგო, ანტიმიკრობული და ტკივილგამაყუჩებელი თვისებები, იგი ხელს უწყობს უჯრედების პროლიფერაციას, აძლიერებს ანგიოგენეზს, ქმნის ტენიან გარემოს. კვლევის ფარგლებში, ბიოლოგიურად აქტიური საფენის გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეამცირა სხივური თერაპიის შემდგომ წარმოქმნილი ჭრილობის შეხორცების დრო, შესაბამისად, იმედისმომცემია მისი გამოყენება კლინიკურ პრაქტიკაში შეუხორცებადი ჭრილობების სამკურნალოდ.

#### 1.4 კვლევის მიზანი

ბიონურული მეთოდების გამოყენებით ბიოლოგიურად აქტიური საფენის (GEO მემბრანის) შექმნა და მისი ეფექტიანობის განსაზღვრა სხივური თერაპიით გამოწვეული ჭრილობის სამკურნალოდ ცხოველებში.

### 1.5 კვლევის ამოცანები

1. ბიონური მეთოდების გამოყენებით ადამიანის დეცელულარიზებული ამნიონური მემბრანისა და ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისგან ბიოლოგიურად აქტიური საფენის (GEO მემბრანის) მიღება;
2. კანის სხივური დამწვრობის მოდელირება ექსპერიმენტში ცხოველებზე;
3. სხივური თერაპიის შემდგომ განვითარებული შეუხორცებადი ჭრილობების მკურნალობა ბიოლოგიურად აქტიური საფენის გამოყენებით ;
4. სხივური თერაპიის შემდგომ განვითარებული შეუხორცებადი ჭრილობების მკურნალობა ქირურგიული იმპლანტის (Colorado Therapeutics) გამოყენებით.
5. ექსპერიმენტში ცხოველებზე სხივური თერაპიის შემდგომ განვითარებული შეუხორცებადი ჭრილობების მკურნალობისათვის გამოყენებული ბიოლოგიურად აქტიური საფენისა და ქირურგიული იმპლანტის (Colorado Therapeutics) შედარებითი ანალიზი და მათი ეფექტიანობის განსაზღვრა ლაბორატორიული, მორფოლოგიური და მასკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპიის მეთოდების გამოყენებით.

### 1.6 პუბლიკაციები

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 4 სამეცნიერო პუბლიკაცია:

1. Karalashvili L, Kakabadze A, Uhry M, Vyshnevska H, Ediberidze K, Kakabadze Z. BONE GRAFTS FOR RECONSTRUCTION OF BONE DEFECTS (REVIEW). Georgian Med News. 2018 Sep;(282):44-49.
2. Kakabadze Z, Chakhunashvili D, Gogilashvili K, Ediberidze K, Chakhunashvili K, Kalandarishvili K, Karalashvili L. Bone Marrow Stem Cell and Decellularized Human Amniotic Membrane for the Treatment of Nonhealing Wound After Radiation Therapy. Exp Clin Transplant. 2019 Jan;17(Suppl 1):92-98.
3. Ediberidze K, Kakabadze Z, Chakhunashvili D, Amiranashvili I. Type of Wound Dressings (Review). Experimental and Clinical Medicine. 2022 June; 150-153

4. Teona Paresishvili, Kakabadze M, Ediberidze K, Chakhunashvili D, Rukhadze T, Kakabadze M. Red blood cells for the treatment of Ehrlich carcinoma in mice Translational and Clinical Medicine – Georgian Medical Journal. Vol 7, No 4 (2022)

**დისერტაციის მასალები მოხსენებულია:**

- Bone Marrow Stem Cell and Decellularized Human Amniotic Membrane for the Treatmen - Nonhealing Wound After Radiation Therapy - ორგანოთა გადანერგვის შუა აღმოსავლეთის საზოგადოების მე-16 კონგრესი (ანკარა, თურქეთი 2019);
- Use of Acellular Human Amniotic Membrane - Repair Large Pharyngocutaneous Fistulae Developing after Radiotherapy and -tal Laryngec-my - მე-5 საერთაშორისო კონფერენცია სტომატოლოგიური მეცნიერება და განათლება & ქირურგია და ქირურგთა მე-5 საერთაშორისო შეხვედრა (ნიუ-იორკი, აშშ 2019).

## თავი II

### ლიტერატურის მიმოხილვა

#### 2.1 ქრონიკული ჭრილობის ეპიდემიოლოგია და პათოგენეზი

ქრონიკული ჭრილობის მცურნალობა დღემდე აქტუალურ პრობლემად რჩება მთელ მსოფლიოში. ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიცაა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სდაც ძალიან მაღალ დონეზეა გამვითარებული სამედიცინო სერვისები, ქრონიკული, შეუხორცებადი ჭრილობებით 6,5 მილიონამდე პაციენტი იტანჯება [1, 2]. და ყოველწლიურად მათ მცურნალობაზე 25 მილიარდ დოლარზე მეტი იხარჯება [3]. კლინიკურ პრაქტიკაში ქრონიკულად მიიჩნევა ჭრილობა, რომელშიც 4 კვირის განმავლობაში აქტიური შეხორცების არც ერთი ნიშანი არ გამოვლინდება. ამ ტიპის გართულების ხშირი მიზეზი სისხლის მიმოქცევის დარღვევა და იმუნური სისტემის მხრივ პრობლემებია. ქრონიკულ ჭრილობებს მიეკუთვნება დიაბეტური წყლული, ვენური და არტერიული უკმარისობით გამოწვეული წყლულები, ნაწოლი ჭრილობა და სხვა. ქრონიკული ჭრილობების ერთ-ერთ სახეობას სხივური თერაპიის შემდგომ წარმოქმნილი ჭრილობა წარმოადგენს. სხივური თერაპია სიმსივნესთან ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია, თუმცა, მცურნალობის ამ ფორმამ შეიძლება კანის და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის, სისხლძარღვების და ლიმფური სადინარების დაზიანება, გამოხატული ფიბროზი და მძიმე შემთხვევებში ქრონიკული სხივური წყლულების ჩამოყალიბებაც კი გამოიწვიოს. საბოლოოდ, ასეთი სახის დაზიანებები დასხივების დისტალურ ზონაში რეგიონალური ლიმფური და ვენური ცირკულაციის მოშლასაც განაპირობებს.

სხივურმა თერაპიამ შეიძლება გამოიწვიოს სხივური რეაქციები და ქსოვილების სხივური დაზიანებები. სხივური რეაქციები სხივური თერაპიის პროცესში ვითარდება და როგორც ადგილობრივ, ასევე ზოგად ფუნქციურ და მორფოლოგიურ ცვლილებებს განაპირობებს. ეს ცვლილებები შექცევად ხასიათს ატარებენ. სხივური თერაპიით გამოწვეული ზოგადი ცვლილებების დროს ორგანიზმში სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი ორგანოების უჯრედული ელემენტები ზიანდება და მიმდინარეობს სიმსივნური ქსოვილის დაშლის პროცესი.

ზოგადი სხივური რეაქციის გამოხატულების დონე დამოკიდებულია დასხივების დოზასა და ფართობზე. მაგალითად: სხივური თერაპიით სარძევე ჯირკვლის კიბოს მკურნალობის დროს დასხივების ზონა მოიცავს კისრისა და გულმკერდის მიდამოს საპროექციო არეს, რამაც შეიძლება გამოწვიოს პაციენტში ტემპერატურული რეაქცია და ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის მეტ-ნაკლები დისფუნქცია.

სხივური თერაპიის შემდგომ რეაქციების დროს ქსოვილებში მიმდინარე ცვლილებები პროცედურიდან 2-4 კვირა გრძელდება. ორგანოებზე და ქსოვილებზე სხივური ზემოქმედება ისეთ შეუქცევად ფუნქციურ და მორფოლოგიურ ცვლილებებს იწვევს, რომლებიც სპეციალურ მკურნალობას საჭიროებენ. სხივური თერაპიისთვის დამახასიათებელი გვერდითი ეფექტები შეიძლება იყოს ადრეული და შორეული.

სხივური თერაპიის შემდგომ განვითარებული ადრეული გართულებები წვისა და ტკივილის შეგრძნებით ხასიათდება. სხივური თერაპიის დროს, როდესაც ჯამური დასხივების დოზა (ჯდდ) შეადგენს 35 გრ-ს ვითარდება ერითემა, უმნიშვნელო შეშუპება და ტკივილი. თუ ჯამური დასხივების დოზა შეადგენს 45 გრ-ს, ერითემა უფრო მკვეთრია და შეშუპებაც უფრო თვალსაჩინო. შემდეგ ეტაპზე მშრალი რადიოდერმატიტი ვითარდება, რომელიც ეპიდერმისის აშრევებას იწვევს, მიმდინარეობს კანის ხანგრძლივი აქერცვლის პროცესი, ასევე, კანი ხდება მშრალი, პიგმენტირებული და იწყება თმის ცვენა.

დასხივების დოზის შემდგომი გაზრდისას ვითარდება ექსუდაციური ანუ სველი რადიოდერმატიტი, ამ დროს წარმოიქმნება სეროზული, სითხით სავსე ბუშტუკები, რომელიც სკდება, მიმდინარეობს ეპიდერმისის აშრევება და რჩება სველი, მკვეთრი ვარდისფერი შეფერილობის ზედაპირი, რომელიც ზოგჯერ ფიბრინის აპკით იფარება.

ეპითელიზაციის პროცესი 2-4 კვირა გრძელდება, კანი დიდი ხნის განმავლობაში ჰიპერპიგმენტირებულია და იქერცლება.

სხივური თერაპიის შემდგომ განვითარებული გვიანი გვერდითი მოვლენებია: ეპიდერმისის ატროფია, თმის სრული ან ნაწილობრივი ცვენა, კანის სიმშრალე, გათხელება და ხშირად ტელეანგიექტაზიებისკენ მიდრეკილება. მფარავ ქსოვილებში შეიძლება ნეკროზული უბნები და წყლულები განვითარდეს, რომლებიც ხანგრძლივი

მიმდინარეობით ხასიათდება და კონსერვატორულ მკურნალობას ცუდად ემორჩილება.

ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები სხივური თერაპიიდან რამდენიმე წლის შემდეგაც შეიძლება ახლიდან გამოვლინდეს, განსაკუთრებით დასხივების მიდამოზე ხანგრძლივი ინსოლაციის, ქიმიური აგენტების ან მექანიკური ტრავმის და სხვა გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. სხივური თერაპიის შემდგომ წარმოქმნილი ქრონიკული წყლული გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიძლება კიბოდაც გადაგვარდეს.

სხივური დამწვრობები საშიში და მტკივნეულია, რაც ზოგჯერ განაპირობებს მკურნალობის შეწყვეტის აუცილებლობას. მკურნალობის პროცესში გამოხატული მკვეთრი გვერდითი ეფექტების დროს, ექიმი იღებს გადაწყვეტილებას თერაპიის დროებითი ან საბოლოო შეწყვეტის შესახებ, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო ამძიმებს პაციენტის მდგომარეობას.

როგორც კანის თერმული, ასევე, სხივური დამწვრობისთვის ოთხი სტადია დამახასიათებელი:

პირველი სტადია ყველაზე მსუბუქია, რა დროსაც დასხივების არეში მკვეთრი სიწითლის გარდა შეიმჩნევა კანის ზედაპირის ძლიერი სიმშრალე, კანი თანდათან იქრცლება და იწყებს აშრევებას.

დამწვრობის მეორე სტადიაა, თუ სხივური თერაპიის შემდგომ კანის დაზიანებული მიდამო ძლიერ შეშუპებული და სველია (და არა მშრალი).

მესამე სტადიისას კანის დაზიანებულ მიდამოზე მკვდარი უბნები და წყლულოვანი გამონაყარი შეინიშნება.

მეოთხე სტადია ყველაზე საშიში და მტკივნეულია ამ დროს კანის ზედაპირული და ჯირკვლოვანი ქსოვილი დამწვარია, სხეული თითქმის მთლიანადაა დაფარული ბუშტებით და ადამიანი აუტანელ ტკივილს განიცდის.

როგორც წესი, სხივური თერაპიის შემდგომი დამწვრობები პირველ და მეორე სტადიაში თავისით ალაგდება ხოლმე, ხოლო მესამე და მეოთხე სტადიის დროს საჭიროა პაციენტის გადაუდებელი ჰოსპიტალიზაცია.

ქირურგიულ პრაქტიკაში ქრონიკული ჭრილობების და ტროფიკული წყლულების მკურნალობა ერთ-ერთი რთული ამოცანაა [4, 5].

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან არსებული ჭრილობის შეხორცების საზოგადოების (The Wound Healing Society) მონაცემებით, ჭრილობის შეხორცების პროცესის დარღვევაში მონაწილეობს არა ერთი კონკრეტული ფაქტორი, არამედ სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობა. ჭრილობის ნორმალური შეხორცების პროცესში ჩართული მექანიზმები ერთმანეთს გადაფარავს, ეს განაპირობებს იმას, რომ ჭრილობის შეხორცების პროცესში ჩართულ არც ერთ ფაქტორს არ ეძლევა საშუალება, დამოუკიდებლად დაარღვიოს პროცესის ნორმალური მიმდინარეობა, მაშინ როცა, აღნიშნული მექანიზმების ნორმალური ფუნქციონირება ირღვევა, ჭრილობის შეხორცების პროცესი ხარგრძლივდება და რთულდება და საბოლოო ჯამში, ყალიბდება ქრონიკული შეუხორცებადი ჭრილობა. ხანგრძლივი, შეუხორცებადი ჭრილობები შემდეგი ცვლილებებით ხასიათდება: პროტეაზების მაღალი დონე, ანთების მარკერების მომატებული დონე, ზრდის ფაქტორის დაბალი აქტივობა და შემცირებული უჯრედული პროლიფერაცია. გარდა ზემოხსენებულისა, არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს ჭრილობის შეხორცებაზე და თავისი წვლილი შეაქვს ქრონიკული ჭრილობის პათოგენეზში. მათ მიეკუთვნება ინფექცია, იშემია, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, იმუნოსუპრესია და რადიაცია.

ჭრილობის დაინფიცირებამ შეიძლება დაარღვიოს ჭრილობის შეხორცებაში მონაწილე სხვადასხვა პროცესი. ბაქტერია წარმოქმნის ანთების მედიატორებს, რომლებიც აინჰიბირებენ ანთების ფაზას, ასევე - ჭრილობის შეხორცების ეპითელიზაციის ფაზას [6]. ინფიცირებულ ჭრილობაში არსებული ბაქტერია იწვევს უჯრედთა კვდომას, რაც აძლიერებს ადგილობრივ ანთებით პასუხს და ახანგრძლივებს მწვავე ანთების ფაზას. ნეკროზული ქსოვილის არსებობა ჭრილობაში აფერხებს ახალი ქსოვილის წარმოქმნას. ამასთანავე, ნეკროზული ქსოვილი წარმოადგენს კარგ ნიადაგს ბაქტერიათა გამრავლებისათვის, ამგვარად, ყალიბდება მანკიერი პათოლოგიური ციკლი.

არტერიული უკმარისობა იშემიურ ცვლილებებსაც იწვევს, კერძოდ, პაციენტებში არტერიული უკმარისობით, ქსოვილების არტერიული სისხლით

მომარაგება დაქვეითებულია, რაც იწვევს ჟანგბადისა და საკვები ნივთიერებების მიწოდების შემცირებასა და უჯრედებში მიმდინარე მეტაბოლიზმის პროცესის დარღვევას და შემდგომ, უჯრედიდან დაშლის პროდუქტების გამოდევნის დარღვევას [7]. კიდურისთვის საფრთხის შემცველი იშემია ვითარდება მაშინ, როდესაც სისხლის ნაკადი ვერ უზრუნველყოფს ქსოვილის აუცილებელ მეტაბოლურ მოთხოვებს, ვლინდება ისეთი სიმპტომი, როგორიცაა, ტკივილი მოსვენებულ მდგომარეობაში. ასეთ დროს, ასევე, შეიძლება ჩამოყალიბდეს შეუხორცებელი ჭრილობა. ჟანგბადისა და საკვები ნივთიერებების ნაკლებობა ქრონიკული არტერიული უკმარისობის გამო დაზიანებული კიდურში ვერ უზრუნველყოფს ქსოვილთა ნორმალურ შენებას. მეტაბოლური მოთხოვნები კანის მთლიანობის შესანარჩუნებლად აღემატება ჭრილობის შეხორცებისთვის აუცილებელ მეტაბოლურ მოთხოვნებს. მსუბუქ ჭრილობას ან ნაკაწრს, გამოწვეულს შეუსაბამო ფეხსაცმელით შეუძლია შეცვალოს მეტაბოლური მოთხოვნების ბალანსი, ამგვარად, გამოიწვიოს ქრონიკული ჭრილობა. არტერიული უკმარისობით გამოწვეული წყლულის უხშირესი მიზეზია მსხვილი და საშუალო ზომის არტერიების დახშობა ათეროსკლეროზის გამო. მდგომარეობებს, რომლებიც აზიანებენ მცირე არტერიებს, როგორიცაა ვასკულიტი, მაობლიტირებელი თრომბოანგიიტი, სკლეროდერმია, ასევე შეუძლიათ გამოიწვიონ იშემიური წყლულების წარმოქმნა [8, 9].

პაციენტებში, რომლებსაც გამოხატული აქვთ ღრმა ვენების თრომბოზი, არტერიოვენური ფისტულა ან ვენური უკმარისობა, ვენურ სისტემაში ჰიდროსტატიკული წნევა მომატებულია, რაც იწვევს ვენურ ჰიპერტენზიას. შედეგად, იკარგება წნევათა სხვაობა არტერიოლებსა და ვენულებს შორის, რასაც მივყავართ კაპილარებში სისხლის დინების შენელებისკენ. მომატებული ჰიდროსტატიკული წნევა კაპილარში განაპირობებს კაპილარის კედლის განვლადობის მომატებას. დერმის კაპილარებიდან გამოჟონილი ფიბრინოგენი წარმოქმნის ფიბრინის წრიულ ჩანართს. ქსოვილოვან შეშუპებასთან კომბინაციაში ის ამცირებს განვლადობას ჟანგბადის მიმართ, რაც იწვევს ქსოვილის ჰიპოესიასა და ჭრილობის შეხორცების პროცესის დარღვევას. კაპილარებში „გაჭედილი“ ლეიკოციტები ემაგრებიან ენდოთელიუმს და გამოათავისუფლებენ ანთების მედიატორებსა და ჟანგბადის რეაქტიურ მეტაბოლიტებს. ეს, თავის მხრივ, იწვევს ენდოთელიუმის დაზიანებას, კაპილარების

ობლიტერაციასა და ქსოვილის თანმდევ იშემიას. პაციენტის კაპილარები, რომელსაც აღენიშნება ვენური სტაზი, ასევე დახმულია მიკროთრომბებით. ისინი, თავის მხრივ, ამცირებენ ჟანგბადის მიწოდებასა და ქსოვილის კვებას, ზრდიან წყლულების განვითარების რისკს [10, 11].

ნაწოლების განვითარება გამოწვეულია ხანგრძლივი წნევითი ზეწოლით, ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ძალების ერთდროული მოქმედებით, ხახუნით და სისველით. წნევა განიმარტება, როგორც ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა. ნაწოლის წარმოქმნა ძვალსა და კანს შორის არსებული რბილი ქსოვილებზე ხანგრძლივად წნევითი მოქმედების შედეგია. ზეწოლა ყველაზე მეტია ძვლოვანი წანაზარდების არეში, სადაც კანი ყველაზე ახლოსაა ძვლის ზედაპირთან, ეს უბნები მაღალი წნევის ზემოქმედების ქვეშ არიან და შესაბამისად, ამ ადგილებში მაღალია ნაწოლების განვითარების რისკი. როდესაც კანზე მოქმედი წნევა აღემატება არტერიოლურ წნევას, ჟანგბადისა და საკვები ნივთიერებების მიწოდება წყდება, შედეგად ვითარდება ქსოვილის ჰიპოენია და აღინიშნება მეტაბოლური პროცესების შემდგომ წარმოქმნილი ნივთიერებებისა და თავისუფალი რადიკალების დაგროვება [12]. ცხოველურ მოდელში, 70 მმ. ვრცხ. სვ-ზე მაღალი წნევით ზემოქმედება ორი საათის განმავლობაში იწვევს ქსოვილთა შეუქცევად დაზიანებას [13,14]. შედარებისთვის, საშუალოდ სტანდარტულ ლეიბზე მწოლიარე პაციენტზე წარმოქმნება 150 მმ. ვრცხ. სვ წნევა, ჯდომისას წნევა საჯდომი ძვლის ბორცვებზე შეადგენს 300 მმ. ვრცხ. სვ. -ს. [15]. თუმცა, იშემიის კრიტიკული ხანგრძლივობა ინდივიდუალურია, გამოცდილება გვაჩვენებს, რომ წნევის ზემოქმედების დროს ნაწოლები შეიძლება განვითარდეს 1-დან 4 საათამდე ინტერვალში [16]. გარდა გარედან მოქმედი წნევისა, ნაწოლების წარმოქმნის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქსოვილების მიერ იშემიისადმი ინდივიდუალური ამტანობა. მონაცემები ცხადყოფს, რომ პაციენტები პერიფერიული არტერიების ოკლუზით არიან ნაწოლების განვითარების უფრო დიდი რისკის ქვეშ. კრიტიკულად მძიმე პაციენტებს, რომლებსაც მაღალი ქულა აქვთ ისეთი შეფასების სისტემით, როგორიცაა APACHE-ს (Acute Physiology and Chronic Health Evaluation) შკალა, აქვთ ნაწოლების განვითარების უფრო დიდი ალბათობა [17]. სავარაუდოდ, კრიტიკულად მძიმე პაციენტების წინასწარგანწყობა იშემიით განპირობებული დაზიანებისადმი განპირობებულია

ქსოვილთა გლობალური ჰიპოპერფუზიით. თვითონ ქსოვილებიც განსხვავდება წნევის ზემოქმედებით წარმოქმნილი დაზიანებებისადმი მგრძნობელობით. რბილი ქსოვილებიდან ყველაზე მგრძნობიარეა კუნთები, მათ მოყვება კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი, შემდეგ - დერმა. ამ მიზეზით, ქსოვილის დაზიანებამ შესაძლოა მოიცვას დიდი ფართობი, მაშინ როდესაც ზედაპირული ცვლილებები ძალიან მცირედ არის გამოხატული. ეს ართულებს წნევის ზემოქმედების შედეგად განვითარებული დაზიანების კლინიკურ შეფასებას. ჭარბი სინოტივე ოფლის გამოყოფის, შარდის და ფეკალიების სახით იწვევს ზედაპირული ქსოვილის მაცერაციას და ცვლის დაზიანების ადგილას ქიმიურ გარემოს. შესაბამისად, მას შეუძლია დაარღვიოს ჭრილობის შეხორცების პროცესი და განაპირობოს ქრონიკული ჭრილობის წარმოქმნა.

**2.2 ქრონიკული ჭრილობის განმაპირობებელი მეტაბოლური დარღვევები**  
სხვადასხვა ლიტერატურაზე დაყრდნობით, არსებობს ნივთიერებათა ცვლის დარღვევის რამდენიმე სახე, რომელიც ხელს უწყობს შეუხორცებელი ჭრილობის წარმოქმნას.

შაქრიანი დიაბეტი: არსებობს დიაბეტთან დაკავშირებული რამდენიმე ფაქტორი, რომელიც მონაწილეობს დიაბეტური ტერფის წყლულის წარმოქმნის პათოგენეზში. დიაბეტური ნეიროპათიის დროს სენსორული, მოტორული და აუტონომიური ნერვული ბოჭკოების დაზიანება მოქმედებს პერიფერიულ მგრძნობელობაზე, ტერფის წვრილი კუნთების მოტორულ ინერვაციაზე, ასევე ტერფის ცირკულაციის ვაზომოტორულ კონტროლზე [18]. სენსორული ნეიროპათიისას იკარგება მგრძნობელობა, რომელსაც აქვს დამცველობითი ფუნქცია, შედეგად ვეღარ ხორციელდება ქსოვილზე მოქმედი წნევისა და დაზიანების შეგრძნება და აღქმა [18].

დიაბეტური წყლულის პათოგენეზში ძირითად როლს თამაშობს არტერიოლებიდან სისხლის შუნტირება უშუალოდ ვენებში, იმ ქსოვილების გვერდის ავლით, რომლებიც საჭიროებენ საკვებ ნივთიერებებს. თუმცა ტერფზე შეიძლება ისინჯებოდეს პულსი და გაგანიერებული ვენები, ქსოვილების პერფუზია არასაკმარისია ჭრილობის შეხორცებისათვის და ინფექციასთან საბრძოლველად [19]. გარდა ამისა, ტერფის საოფლე ჯირკვლების ვეგეტატიური ინერვაციის მოშლის შედეგად კანი ხდება

მშრალი და ქერცლიანი, შედეგად ადვილად ზიანდება და ბაქტერიებს შეჭრის შესაძლებლობას აძლევს [20].

### 2.3 ქრონიკული ჭრილობის პათოგენეზი

ჭრილობის ნორმალური შეხორცების პროცესი მოიცავს ოთხ ეტაპს: ჰემოსტაზი, ანთებითი ფაზა, პროლიფერაციის ფაზა და მომწიფების ფაზა [21]. ქრონიკული შეუხორცებადი ჭრილობისთვის დამახასიათებელია გახანგრძლვებული ანთების, პროლიფერაციისა და რემოდელირების ფაზები, რაც ქსოვილების ფიბროზითაა განპირობებული. შეხორცების პროცესი კომპლექსურია და მასში ჩართულია სხვადასხვა ტიპის უჯრედი: თრომბოციტები, მაკროფაგები, ფიბრობლასტები, ეპითელური და ენდოთელური უჯრედები. შეხორცების პროცესში, ასევე, მონაწილეობენ პროტეინები, გლიკოპროტეინები, როგორიცაა: ციტოკინები, ქემოკინები, ზრდის ფაქტორები: ბეტა ტრანსფორმაციული ზრდის ფაქტორი (TGF- $\beta$ ), ზრდის თრომბოციტული ფაქტორი (PDGF) და ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორი (FGF). უჯრედების ფუნქციონირება ქრონიკული ჭრილობის შეხორცების სხვადასხვა ეტაპზე კონტროლდება ციტოკინებით, ქემოკინებით, ზრდის ფაქტორებით.

ამ კონტექსტში, სხივური თერაპია იწვევს ენდოთელიუმის დისფუნქციას და ანთებით ცვლილებებს, შესაბამისად, ძლიერდება თრომბოქსანის გამოყოფა და პროსტაციკლინების გამომუშვების შემცირება, სისხლძარღვთა გლუვი კუნთების დეგენერაციული ცვლილებები და, ასევე, სახეზეა, ადვენტიციის ფიბროზი. სხივური თერაპია იწვევს სისხლძარღვების კედლების შეშუპებას, შესქელებას და მათ დახშობას, რითაც ფერხდება თრომბოციტების მიგრაცია [22], ასევე, ვლინდება ანგიოგენეზის პროცესის შეფერხება და მატრიქსული მეტალოპროტეინაზების (MMP) რაოდენობის გაზრდა. მატრიქსული მეტალოპროტეინაზები (MMP) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ექსტრაცელულარული მატრიქსის (ECM) რემოდელირებაში, არეგულირებენ სიმსივნის ზრდას, ანგიოგენეზს. ციტოკინების რაოდენობის შემცირების გამო აღინიშნება ფიბრობლასტების შემცირება ჭრილობაში.

სხივური თერაპია, ასევე, გავლენას ახდენ სისხლძარღვების ელასტიურობაზე, რაც კოლაგენის წარმოქმნის შემცირებითა და მისი ფუნქციის შეცვლით არის

განპირობებული. სხივური თერაპიის დროს მაღალი ენერგიის იონიზირებული ფოტონები იწვევენ ქსოვილებში ისეთ პათოლოგიურ ცვლილებებს, როგორიც არის უჯრედული გამოფიტვა, უჯრედგარეთა მატრიქსის ცვლილებები და მიკროვასკულარული დაზიანება, რასაც ადგილობრივად, ქსოვილის ჰიპოქსია მოჰყვება.

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ უჯრედების სასიცოცხლო ციკლის G2 და M ფაზებში უჯრედები ძალიან მგრძნობიარეა მაიონებელი გამოსხივების მიმართ [23]. სხივებით გამოწვეული აპოპტოზი ნაწილობრივ ხსნის ჭრილობის დაგვიანებით შეხორცებას. ავტორებმა აღნიშნეს, რომ სხივური თერაპიის დროს ვითარდება ეპითელიუმის დაგვიანებული ჰიპერპლაზია და დერმალური შევსება [24].

ლიტერატურაში განსაკუთრებით არის გამახვილებული ყურადღება იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს რადიაცია ფიბრობლასტებზე, რადგანაც, ეს უკანასკნელი, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ჭრილობების შეხორცების პროცესში. კვლევებმა აჩვენეს, რომ დასხივებულ ფიბრობლასტებს აქვთ შემცირებული რეპლიკაციური უნარი, რაც მიუთითებს ამ უჯრედების შეუქცევად დაზიანებაზე [25]. ასევე დაფიქსირდა მიოფიბრობლასტის შეკუმშვის შემცირება, რაც უარყოფითად მოქმედებს ჭრილობის დახურვის სიჩქარეზე [26]. ეს კი მიანიშნებს იმაზე, რომ სხივურმა თერაპიამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ფიბრობლასტების საბოლოო დიფერენციაციაზე.

ფიბრობლასტები პასუხისმგებელნი არიან კოლაგენის და ექსტრაცელულარული მატრიქსის (ECM) სხვა კომპონენტების სეკრეციაზე. ფიბრობლასტების საერთო რაოდენობისა და ფუნქციის შემცირების მიუხედავად, სხივური თერაპიის ზემოქმედება კოლაგენის სინთეზზე პარადოქსულია. დაზიანებისთანავე, დასხივებულ ჭრილობაში კოლაგენის შემცველობა და სიმკვრივე მცირდება [27], თუმცა, დასხივებიდან ორი კვირის შემდეგ კოლაგენის შემცველობა იზრდება [28][29]. სხივური თერაპია ასევე იწვევს პათოლოგიური კოლაგენის პოსტრანსლაციურ ცვლილებას, მას შემდეგ, რაც იგი გამომუშავდება ფიბრობლასტების მიერ შემაერთებელ ქსოვილში. მიუხედავად იმისა, რომ ვირთხებში კოლაგენის შემცველობა ჭრილობაში 2 კვირის შემდეგ გაიზარდა,

ჭრილობის სიმტკიცე 50% -ით შემცირდა კოლაგენის სტრუქტურის შეცვლის გამო. [29]. აუტოლოგიური ფიბრობლასტების გადანერგვამ დასხივებულ ჭრილობებში გამოიწვია ჭრილობის შეხორცების პროცესის ნორმალიზაცია, ეპიდერმისის სისქის, სიმკვრივისა და ელასტიურობის მომატება. ავტორებმა შეისწავლეს მატრიქსული მეტალოპროტეაზების (MMP), და კოლაგენის დამშლელი ენდოპეპტიდაზების როლი. დადგინდა, რომ დასხივების შემდეგ ფიბრობლასტებში, ენდოთელურ უჯრედებსა და მაკროფაგებში გამოვლინდა MMP-1 გამომუშავების მკვეთრი შემცირება, რაც უკავშირდებოდა ECM-ის ჭარბ რაოდენობას, უჯრედული მიგრაციის და ანგიოგენეზის ინჰიბირებას [30]. ჭრილობის შეხორცების მოგვიანებით მეტალოპროტეაზების (MMP) ძლიერი წარმოქმნა, ხელს უწყობს გრანულაციური ქსოვილების წარმოქმნის შეფერხებას [31].

#### **2.4 ქრონიკულ ჭრილობაში მიკროსისხლძარღვების დაზიანება და ქსოვილების ჰიპოქსიის განვითარება.**

სხივური თერაპია იწვევს ქსოვილებში ისეთ მორფოლოგიურ ცვლილებებს, როგორიც არის სისხლძარღვების კედლების გასქელება და ფიბროზული რემოდელირება, სისხლის ნაკადის შემცირება, ენდოთელიუმის რემოდელირება, სისხლძარღვების დახშობა და ანგიოგენეზის დარღვევა [32].

სხივური თერაპია მკვეთრად ზრდის მიკროსისხლძარღვების კედლების განვლადობას, რაც იწვევს მიმდებარე ქსოვილების შეშუპებას და ბაზალური მემბრანის თანდათანობით გასქელებას. ეს პროცესი განაპირობებს აირების ცვლისა და უჯრედების მეტაბოლიზმის მოშლას, ცვლის უჯრედგარე გარემოს და იწვევს ქსოვილების ჰიპოქსიას [33].

ზოგიერთი ავტორი ვარაუდობს, რომ ქსოვილების ჰიპოქსია, რომელიც წარმოიქმნება სხივური თერაპიის დროს, წარმოადგენს ქრონიკულ პროცესს, რომელშიც ენდოთელიუმის პროგრესული გასქელება იწვევს ჟანგბადის რეაქტიული სახეობების წარმოებას, ამცირებს სისხლძარღვების გამტარიანობას და ასტიმულირებს ზრდის ბეტა ტრანსფორმაციულ ფაქტორს (TGF- $\beta$ ), რომელიც წარმოადგენს ფიბროზში მონაწილე ძირითად ციტოკინს [34]. TGF- $\beta$  თრგუნავს ანტიკოაგულანტური პროცესის რეგულატორს - თრომბომოდულინს, ზრდის თრომბოციტების აგრეგაციას და იწვევს

ანთებითი პროცესების განვითარებას შევიწროებულ, დაზიანებულ მიკროსისხლძარღვებში [35]. ასევე, დადასტურებულია ენდოთელიუმის დისფუნქციის მნიშვნელობა რადიაციული თერაპიის შედეგად დაზიანებულ სისხლძარღვებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სისხლძარღვების სტენოზი და შესაბამისად, ჭრილობის შეხორცების პროცესის გახანგრძლივება [36].

## **2.5 ჭრონიკული შეუხორცებადი ჭრილობის მკურნალობის მეთოდები.**

ჭრილობის სწრაფად და ეფექტიანად შეხორცებისთვის საჭიროა იგი განთავისუფლდეს ინფექციის გამომწვევი წყაროსა და ნეკროზული ქსოვილებისგან. ჭრილობის სწორი ადგილობრივი დამუშავება და ჯანსაღი გარემო ხელს უწყობს გრანულაციური ქსოვილის წარმოქმნას, უჯრედების პროლიფერაციას და ეპითელიზაციას.

ჭრილობის დამუშავება: ჭრილობის დამუშავება შესაძლოა განხორციელდეს ჭრილობის ირიგაციით, ბასრი, აუტოლიზური ან ენზიმური დამუშავებით. ინფიცირებული ჭრილობისთვის, რომელიც ნეკროზულ ქსოვილების დიდ რაოდენობას შეიცავს, ბასრი ქირურგიული დამუშავება ყველაზე ეფექტიანი მეთოდია, ვინაიდან ამცირებს ჭრილობაში ბაქტერიების რაოდენობას, ააქტიურებს გრანულაციის და ეპითელიზაციის პროცესებს.

ჭრილობის ძირიდან ნეკროზული უბნების მოსაცილებლად და ბაქტერიული დაინფიცირების რისკის შესამცირებლად ჭრილობის ირიგაცია გამოიყენება. ეს მეთოდი ეფექტურია ჭრილობის რუტინულად მართვისთვის. ჭრილობათა უმრავლესობისთვის საკმარისია დაბალი წნევით ირიგაცია. მლიერ დაბინძურებული ჭრილობებისათვის კი, აუცილებელია ირიგაციის გამოყენება მაღალი წნევით [37-39].

ჭრილობის აუტოლიზური გაწმენდის მეთოდი - ჭრილობის აუტოლიზური გაწმენდის მეთოდით ხდება ნეკროზული ქსოვილის დაშლა და ამ პროცესში ჭრილობაში არსებული საკუთარი პროტეოლიზური ფერმენტები მონაწილეობენ [40, 41]. ეს მეთოდი ამარტივებს ნეკროზული ქსოვილის განცალკევებას ჭრილობის ძირიდან და ხელს უწყობს ჭრილობის შეხორცების პროცესის დაჩქარებას. ჭრილობის აუტოლიზური გაწმენდა შესაძლებელია გაძლიერდეს ისეთი ნახევრად ოკლუზიური

ნახვევების გამოყენებით, როგორიცაა გამჭირვალე ფირფიტები, ჰიდროგელები ან ჰიდროკოლოიდები. თუმცა, უმჯობესია ეს მეთოდი მხოლოდ არაინფიცირებული ჭრილობების შემთხვევაში იქნას გამოყენებული.

ჭრილობის ენზიმური დამუშავება - ჭრილობის ენზიმური დამუშავება გულისხმობს კომერციულად ხელმისაწვდომი ფერმენტული საშუალებების გამოყენებას [42, 43]. მაგალითად, კოლაგენაზა, რომელიც წარმოადგენს ბაქტერიიდან (*Clostridium histolyticum*) იზოლირებულ ფერმენტს. კოლაგენაზას მაღამო შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ქრონიკული ჭრილობის სამკურნალოდ, რადგან ის ახორციელებს ჭრილობიდან ნეკროზული ქსოვილის გამოცალკევებას, ასევე, მას შეუძლია დაშალოს კოლაგენი, შერჩევითად ნეკროზულ ქსოვილში, მაშინ როცა, არ მოქმედებს ჯანსაღ ქსოვილზე.

**2. 6 ქრონიკული ჭრილობის სამკურნალო საფენების ძირითადი სახეები**  
ჭრილობებზე საფენის დადება მნიშვნელოვად აჩქარებს მასში მიმდინარე შეხორცების პროცესებს. დღეისათვის, ქირურგიულ პრაქტიკაში, ქრონიკული ჭრილობის სამკურნალოდ, მოწოდებულია სხვადასხვა ტიპის საფენები. თითოეულს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. სამწუხაროდ, არ არსებობს ერთი კონკრეტული საფენი, რომელიც შეიძლება ნებისმიერი სახის ჭრილობისთვის გამოდგეს და ჰქონდეს იდეალური მახასიათებლები.

ცნობილია, რომ ნოტიო გარემო დადებითად მოქმედებს ეპითელური უჯრედების პროლიფერაციაზე და მიგრაციაზე, რაც ეპითელიზაციის აუცილებელ პირობას შეადგენს.

ადამიანებზე და ცხოველებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჭრილობის მკურნალობის პროცესში აუცილებელია ჩატარდეს სინოტივის დონის კონტროლი ჭრილობაში და მის გარშემო. ამასთანავე აუცილებელია ჭარბი ექსუდატის კონტროლი, რათა თავიდან ავიცილოთ ჯანსაღი ქსოვილის მაცერაცია.

ამგვარად, სინოტივესა და ექსუდაციას შორის ბალანსის დაცვა წარმოადგენს იმ ძირითად ფაქტორს, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ საფენის არჩევისას. ნახვევის შერჩევისას, ასევე, გასათვალისწინებელია ჭრილობის სტადია. ჭრილობის

დამუშავების ეტაპზე უპირატესობა ენიჭება საფენს, რომელსაც აქვს მექანიკური დამუშავების უნარი ან შეუძლია ხელი შეუწყოს ჭრილობის აუტოლიზურ გაწმენდას. ჭრილობის შეხორცების, გრანულაციის სტადიაზე - სინოტივის შემანარჩუნებელი, ნაკლებად მჭიდრო საფენები გამოიყენება.

დოლბანდის ნახვევი - დოლბანდის ნახვევი ყველაზე ხშირად ღია ქირურგიული ჭრილობების დროს გამოიყენება [44]. როგორც წესი, სველი დოლბანდის ზემოდან მშრალი დოლბანდი ან მაღალი აბსორბციის უნარის მქონე დოლბანდი ეფინება. გაუღენთილი დოლბანდის ნახვევი: გაუღენთილ დოლბანდის ნახვევს უწოდებენ ვაზელინით, პარაფინით ან ანტიბიოტიკების შემცველი მაღამოთი გაუღენთილ წვრილბადიან დოლბანდს [45].

გამჭვირვალე ნახვევი - გამჭვირვალე ნახვევები ისეთ წებვადოკლუზიურ სახვევებს წარმოადგენენ, რომლებიც ჟანგბადსა და წყლის ორთქლს ატარებენ, მაგრამ დიდი მოლეკულებისთვის (ცილები და ბაქტერიები) გაუმტარნი არიან [46-48];

ქაფიანი ნახვევი - ქაფიანი ნახვევი (Foam dressings) შედგება შიგნითა ჰიდროფილური და გარეთა ჰიდროფობური შრეებისგან. შიგნითა შრე უშუალოდ ეხება ჭრილობას, ხოლო გარეთა ჰიდროფობური შრე გამტარია აირების მიმართ და იცავს ჭრილობას გაუონვისა და ინფიცირებისგან [49, 50].

ალგინატის ნახვევი წარმოადგენს ბიოაქტივურ საფენს: ალგინატის სახვევი მზადდება კალციუმის ალგინატისგან. ეს არის პოლისაქარიდული მარილი, რომელიც წყალმცენარისაგან მიიღება. ალგინატის საფენის სხვადასხვა სახე არსებობს. მაღალი აბსორბციის უნარის გამო ისინი ექსუდატის რაოდენობას ეფექტურად აკონტროლებენ და ამასთანავე ჭრილობის არეში სინოტივეს ინარჩუნებენ. [51-53].

### 2.6.1 ჰიდროგელის საფენები

ამჟამად ქრონიკული ჭრილობის სამკურნალოდ სამედიცინო ბაზარზე ხელმისაწვდომია ჰიდროგელების საფენების ფართო სპექტრი [54].

ჰიდროგელები შედგება დაახლოებით 90% წყლისა და 10% ბუნებრივი ან სინთეზური პოლიმერებისგან. აღნიშნული საფენს აქვს სამგანზომილებიანი სტრუქტურა და ახდენს ექსტრაცელულარული მატრიქსის იმიტირებას, რომელიც უზრუნველყოფს

ტენიანი გარემოს შექმნას ჭრილობაში. წყლის მაღალი შემცველობა ჰიდროგელების საფენებს ქრონიკული ჭრილობის მცურნალობისათვის ეფექტურ საშუალებად ხდის. ჰიდროგელებით შექმნილი ტენიანი გარემო აძლიერებს ჭრილობიდან ნეკროზული ქსოვილის სწრაფ მოცილებას, ჰიდროგელის სორბციული შესაძლებლობების საშუალებით [55].

**2.6.2 ალგინატზე დამზადებული ჰიდროგელი - ალგინატი ბიოლოგიურად აქტიური საფენების ერთ-ერთი სახეა. ალგინატი არის ბიოლოგიური წარმოშობის პოლისაქარიდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება, როგორც ჰიდროგელის საფენის ერთ-ერთი კომპონენტი. ჰიდროფილური ხასიათის გამო, ალგინატს შეუძლია მოახდინოს ჭრილობის ექსუდატის აბსორბცია დიდი რაოდენობით. სისხლმდენ ჭრილობებთან კონტაქტისას ალგინატი ავლენს ჰემოსტატიკურ ეფექტს. რაც მთავარია, ალგინატს შეუძლია აქტიურად შეუწყოს ხელი ჭრილობის შეხორცების პროცესს, უჯრედების მიგრაციის გაძლიერებას, ანგიოგენეზის დაჩქარების და კოლაგენის წარმოქმნის გაზრდის საშუალებით და, რაც მთავარია, ალგინატი ახდენს ქრონიკულ ჭრილობებში ანთების საწინააღმდეგო ციტოკინების კონცენტრაციის შემცირებას [56, 57].**

**2.6.3 ქიტოსანზე დამზადებული ჰიდროგელი - ქიტოზანი არის კიდევ ერთი ბუნებრივი პოლისაქარიდი, რომელიც გამოირჩევა თავისი ჰემოსტატიკური, ბაქტერიოსტატიკური და ფუნგისტატიკური თვისებებით. ცხოველებზე ჩატარებულმა მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ ქიტოსანი აჩქარებდა ჭრილობების შეხორცების პროცესს. გარდა ამისა, ქიტოზანის არსებობა ჭრილობის ზედაპირზე ხელს უწყობდა უჯრედების პროლიფერაციას, კოლაგენისა და ჰიალურონის მჟავას (HA) წარმოქმნას [58 - 60].**

**2.6.4 ბიოლოგიურად აქტიური ჰიდროგელი - ბიოლოგიურად აქტიური ჰიდროგელი შეიცავს უჯრედებს, ზრდის ფაქტორებს და ციტოკინებს. ავტორები აღნიშნავენ, რომ ჰიდროგელში მოთავსებული ეპიდერმული ზრდის ფაქტორი (EGF), ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორი (FGF), კერატინოციტების ზრდის ფაქტორი (KGF), ზრდის თრომბოციტული ფაქტორი (PDGF) და სისხლძარღვოვანი ენდოთელიუმის ზრდის ფაქტორი (VEGF) მნიშვნელოვნად აჩქარებს ჭრილობის შეხორცების პროცესს,**

რის შედეგადაც იზრდება გრანულაცია, ჭრილობის ეპითელიზაცია და ვასკულარიზაცია [61, 62].

დღეისათვის სამედიცინო ლიტერატურაში მოიპოვება მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება ჰიდროგელების შექმნის პროცესს და მათ გამოყენებას ქრონიკული ჭრილობების სამკურნალოდ. წარმოდგენილია ჰიდროგელი, რომელიც ზრდის ჭრილობაში აზოტის ოქსიდის (NO) თერაპიულ დონეს [63]. ავტორებმა შეიმუშავეს ლიზინის აკრილატი, როგორც საფენი ნორმალური დაინფიცირებულ ჭრილობებისათვის, რომელიც შეიცავს პოლი (N- იზოპროპილ აკრილამიდის) ჰიდროგელებს, [64]. ბიო-ინჟინერული ჰიბრიდული ჰიდროგელის სისტემა მომზადებულია პოლიეთილენ გლიკოლის (PEG) ბაზაზე ჰიალურონის მუკასა და ცხიმოვან ლეროვან უჯრედებთან ერთად [65,66].

## **2.7 ლეროვანი უჯრედების და ზრდის ფაქტორების როლი ქრონიკული ჭრილობების მკურნალობაში**

მრავალი ავტორის აზრით, ლეროვანი უჯრედები და ზრდის ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქრონიკული ჭრილობების შეხორცების პროცესში[67-70]. როგორც აღნიშნავენ მკვლევრები, ლეროვანი უჯრედების გამოყენება საგრძნობლად ზრდის ანგიოგენეზის სტიმულირებას, ფიბრობლასტების მიგრაციას, უჯრედების პროლიფერაციასა და ჭრილობის ეპითელიზაციას [71-74].

ქრონიკული ჭრილობის მკურნალობაში ფართოდ გამოიყენება ისეთი ზრდის ფაქტორები, როგორიც არის ზრდის თრომბოციტული ფაქტორი (PDGF), ფიბრობლასტის ზრდის ფაქტორი (FGF) და გრანულოციტული კოლონიამასტიმულირებელი ფაქტორი (GM-CSF). დღესდღეობით თრომბოციტული ზრდის ფაქტორი წარმოადგენს ერთადერთ ფარმაკოლოგიურ საშუალებას, რომელიც მიღებულია როგორც, დამატებითი თერაპია დიაბეტური ფეხის წყლულის სამკურნალოდ. მისი ეფექტურობა ნაწოლებისა და ვენური შეგუბებით გამოწვეული წყლულების სამკურნალოდ არ არის დამტკიცებული. ფიბრობლასტური ზრდის ფაქტორის, გრანულოციტული კოლონიამასტიმულირებელი ფაქტორის და ეპიდერმული ზრდის ფაქტორის გამოყენება ქრონიკული ჭრილობების სამკურნალოდ ჯერ კიდევ განხილვის ეტაპზეა [75-79].

**2.8 ამნიონური მემბრანის გამოყენება ქრონიკული ჭრილობის სამკურნალოდ**  
ადამიანის ამნიონური მემბრანა მედიცინაში პირველად გამოყენებულ იყო 1910  
წელს. ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორმა დევისმა [80] პირველმა  
გამოიყენა ამნიონური მემბრანა დამწვრობით გამოწვეული ჭრილობების  
სამკურნალოდ. მას შემდეგ, არა ერთი ნაშრომი გამოქვეყნდა ამნიონური მემბრანის  
გამოყენების შესაძლებლობის შესახებ სხვადასხვა ეტიოლოგიის ჭრილობების  
სამკურნალოდ[81–84, 85].

ადამიანის ამნიონური მემბრანა განსაკუთრებული სტრუქტურის, ბიოლოგიური  
თვისებებისა და იმუნოლოგიური მახასიათებლების გამო, წარმოდგენილია როგორც  
ბიოლოგიური საფენი და ხშირად გამოიყენება ქრონიკული ჭრილობების  
სამკურნალოდ [86, 87]. როგორც აღნიშნავენ ავტორები, ადამიანის ამნიონური  
მემბრანა ავლენს დაბალ იმუნოგენურობას და ხელს უწყობს სწრაფ ეპითელიზაციას.  
უფრო მეტიც, ამნიონურ მემბრანას გააჩნია ანთების საწინააღმდეგო,  
ანტიფიბროზული, ანტიმიკრობული და ტკივილგამაყუჩებელი თვისებები.  
დადებითი ეფექტების ეს მრავალფეროვნება უკავშირდება ბიოლოგიურად აქტიური  
მოლეკულების სინთეზისა და გამოყოფის შესაძლებლობას, მათ შორის ციტოკინებისა  
და სასიგნალო ფაქტორების, როგორიცაა: სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი - ალფა (TNF  
-α), ტრანსფორმაციული ზრდის ფაქტორი - ალფა (TGF -α), ტრანსფორმაციული  
ზრდის ფაქტორი - ბეტა (TGF -β), ფიბრობლასტის ზრდის ფაქტორი - ბეტა (b-FGF),  
ეპიდერმული ზრდის ფაქტორი (EGF), კერატინოციტების ზრდის ფაქტორი (KGF),  
ჰეპატოციტების ზრდის ფაქტორი (HGF), ინტერლეიკინი - IL - 4, IL - 6, IL - 8,  
მეტალოპროტეაზების ბუნებრივი ინჰიბიტორები, და პროსტაგლანდინები [88].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ამნიონური მემბრანა, რომლის მიღებაც  
მარტივია, წარმოადგენს სამგანზომილებიან სკაფოლდს, სადაც უჯრედებს ადვილად  
შეუძლიათ გამრავლება, დიფერენცირება და მიგრაცია [89]. კანის გადანერგვასთან  
შედარებით, ადამიანის ამნიონური მემბრანის გამოყენება ქრონიკული ჭრილობების  
სამკურნალოდ მნიშვნელოვან უპირატესობებს გვთავაზობს. მისი გამოყენება არ  
იწვევს მოცილებას, რადგან მას აქვს დაბალი იმუნოგენურობა და არ იწვევს  
უჯრედების უკონტროლო გამრავლებას [90].

## 2.9 სხივური თერაპიით გამოწვეული შეუხორცებადი ჭრილობის მკურნალობის მეთოდები

ქირურგიული მეთოდებიდან გამოიყენება კანის, ფასციის, კუნთებისა და ლორწოვანი გარსიდან მოპოვებული ადგილობრივი ან რეგიონალური ქსოვილის ნაფლეთები [91-95]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ქსოვილები ხშირად არასაიმედოა, რადგან შესაძლოა, დასხივებამ მათზეც მოახდინოს გავლენა, რის გამოც, არსებობს რისკი, განვითარდეს ჭრილობის ირგვლივ არსებული ქსოვილების ფიბროზული გარდაქმნა. ჭრილობის რეკონსტრუქციისას ასეთი ქსოვილების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ნაფლეთის გარშემო კანის ნეკროზი და თვითონ ნაფლეთის ქსოვილის ნეკროზიც კი, ამის გამო, ქრონიკული, შეუხორცებადი ჭრილობების ქირურგიულ მკურნალობაში უპირატესობას ანიჭებენ რეგიონალურ ნაფლეთებს, რომლებიც წარმოდგენილია კუნთოვანი, კან-კუნთოვანი ნაფლეთების სახით, ასევე ნაფლეთები სისხლძარღვოვანი ფეხით [96-101]. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ასეთი ტიპის ოპერაციები რთულად შესასრულებადია, მოითხოვს კვალიფიციურ პერსონალს, ხანგრძლივ დროს და ძვირადღირებულია.

ბიოლოგიურად აქტიური საფენები არის ქრონიკული ჭრილობის მკურნალობის თანამედროვე, დახვეწილი მეთოდი, რომელიც შექმნილია ჭრილობის შეხორცების პროცესის დაჩქარებისთვის, ხელსაყრელი გარემოს უზრუნველსაყოფად, ქსოვილების აღდგენისა და რეგენერაციისთვის. როდესაც საქმე ეხება რადაციული თერაპიის შემდგომ წარმოქმნილი ჭრილობის მკურნალობას, ბიოლოგიურად აქტიური საფენები უამრავ სარგებელს იძლევა ამ ტიპის ჭრილობებთან დაკავშირებული სპეციფიკური გართულებების თავიდან აცილების უნარის გამო, როგორიცაა: ჭრილობების შეხორცების დარღვევა, ანთება და ინფექციისადმი მიდრეკილება. აქ მოცემულია ბიოლოგიურად აქტიური საფენების რამდენიმე მაგალითი, რომლებიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება სხივური თერაპიის შედგომ განვითარებული ჭრილობის სამკურნალოდ:

- ვერცხლის სახვევები: ვერცხლის სახვევები შეიცავს ვერცხლის იონებს, რომლებსაც აქვთ ანტიმიკრობული თვისებები, რაც ხელს უწყობს რადიაციული ჭრილობების დაინფიცირების რისკის შემცირებას. ამ სახვევებს ასევე

შეუძლიათ ჭარბი ექსუდატის მართვა (შეწოვა) და ჭრილობების შეხორცებისთვის აუცილებელი ტენიანი გარემოს შექმნა [114, 116].

- ჰიდროგელის სახვევები: ჰიდროგელის სახვევები შედგება წყლის მაღალი შემცველობის მქონე გელებისაგან, რომლებიც ხელს უწყობენ ჭრილობის არეში ტენიანობის შენარჩუნებას, რაც განსაკუთრებით სასარგებლოა რადიაციული ჭრილობებისთვის, რომლებიც მშრალია და ცუდად დატენიანებული. ჰიდროგელის სახვევებს ასევე შეუძლიათ ტკივილის შემსუბუქება და ნეკროზული ქსოვილის აუტოლიზური მოცილება [117, 118].
- ქაფიანი სახვევები: ქაფიანი სახვევები გამოირჩევა სითხის ძლიერად შთანთქმის უნარით და ეფექტურად აშორებს ექსუდატს რადიაციული ჭრილობებიდან. ისინი უზრუნველყოფენ ჭრილობის ადგილის დაცვას, ასევე, ინარჩუნებენ ტენიან გარემოს, რაც ხელს უწყობს შეხორცებას. ზოგიერთი ქაფიანი სახვევი ასევე შეიცავს ანტიმიკრობულ აგენტებს ინფექციის თავიდან ასაცილებლად [119, 120].
- კოლაგენის სახვევები: კოლაგენის სახვევები მიღებულია ბუნებრივი ან სინთეზური წყაროებიდან და წარმოადგენს ხელის შემწყობს უჯრედების ზრდისა და ქსოვილების რეგენერაციისთვის. მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ გრანულაციური ქსოვილის ფორმირებას და დააჩქარონ რადიაციული ჭრილობების შეხორცების პროცესი [121 – 123].
- ალგინატის სახვევები: ალგინატის სახვევები მზადდება ზღვის წყალმცენარეების ბოჭკოებისგან და გამოირჩევა ჭრილობის ჭარბი ექსუდატის შთანთქმით, რაც ეფექტურს ხდის მას ექსუდაციური რადიაციული ჭრილობების სამკურნალოდ. ჭრილობის სითხესთან შეხებისას ეს სახვევები ქმნიან გელს, რაც ხელს უწყობს ტენიანი გარემოს შენარჩუნებას და ამცირებს ჭრილობის ბაქტერიული დაინფიცირების რისკს. ჰიდროგელის კვლევა ავლენს ფიბრობლასტების და მაკროფაგების აქტიურობის მომატებას, ეპითელიზაციის და ანგიოგენეზის პროცესების დაჩქარებას.[124 – 126].
- თრომბოციტებით მდიდარი პლაზმური (PRP) სახვევები: PRP სახვევები შეიცავს თრომბოციტებით მდიდარ პლაზმას, რომელიც ასევე, მდიდარია ზრდის ფაქტორებით, რომლებიც ხელს უწყობენ ქსოვილების აღდგენას და

რეგენერაციას. ეს საფენები განსაკუთრებით ეფექტურია ანგიოგენზის პროცესის გასააქტიურებლად და კოლაგენის სინთეზის გასაძლიერებლად რადიაციული ჭრილობების შეხორცების პროცესში [127 – 130].

- უჯრედგარე მატრიქსის (ECM) სახვევები: ECM სახვევები მიღებულია ბუნებრივი ან სინთეზური წყაროებიდან და კანის უჯრედგარე მატრიქსის მსგავსია. ისინი უზრუნველყოფენ ჭრილობის სტრუქტურულ შენარჩუნებას და ხელს უწყობენ ჭრილობის ადგილას უჯრედების მიგრაციას, პროლიფერაციას და დიფერენციაციას, რითაც აჩქარებენ რეგენერაციის პროცესს რადიაციულ ჭრილობებში [131 – 133].
- ორფენიანი ან კომპოზიტური სახვევები: ორფენიანი ან კომპოზიტური სახვევები აერთიანებს სხვადასხვა მასალებს ან კომპონენტებს, მათ გამოყენებას გააჩნია მრავალმხრივი სარგებელი, როგორიცაა: ანტიმიკრობული თვისებები, ტენიანობის მართვა, შენარჩუნება და ქსოვილების რეგენერაცია. ამ სახვევებისთვის დამახასიათებელი მრავალმხრივი ბენეფიტის გამო, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას რადიაციული ჭრილობების მკურნალობის პროცესში [134 – 139].

### თავი III

#### **მასალა და მეთოდები**

კვლევა დაიყო ორ ნაწილად. პირველი ნაწილი დაეთმო ადამიანის ამნიონისა და ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისაგან სამგანზომილებიანი ბიოლოგიურად აქტიური ჭრილობის საფენის შექმნას. კვლევის მეორე ნაწილი კი დასხივებით გამოწვეული მესამე ხარისხის დამწვრობის ჭრილობის მკურნალობას სამგანზომილებიანი ბიოლოგიურად აქტიური ჭრილობის საფენის გამოყენებით.

#### **3.1 ადამიანის ამნიონისაგან ბიოლოგიურად შეთავსებადი სამგანზომილებიანი სკაფორდის (მატრიქსის) შექმნის მეთოდი.**

ამნიონური მემბრანის მისაღებად გამოყენებული იყო 2 სრულვადიანი პლაცენტა. ჯანმრთელმა ორსულმა ქალებმა, ჯანმრთელი ახალშობილების დაბადების და პლაცენტის გამოძევების შემდეგ განაცხადეს თანხმობა, პლაცენტის გამოყენების შესახებ სამეცნიერო მიზნებისთვის და ხელი მოაწერეს ინფორმირებულ თანხმობის ფორმას.

კვლევა დამტკიცებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ. პლაცენტის მიღებისთანავე მოხდა მისი პირველადი დამუშავება გამდინარე ონკანის წყლით (სურათი 1).

დეცელულარიზაციისათვის ჭიპლარის ორივე არტერიაში და ვენაში მოთავსებულ იქნა პოლიეთილენის კათეტერები, რომლებიც დაფიქსირდა აბრეშუმის ლიგატურით (სურათი 2, 3), პლაცენტის სისხლისა და მისი ელემენტებისაგან გათავისუფლებისათვის გამოვიყენეთ ჰეპარინიზირებული 0,9%-იანი ფიზიოლოგიური ხსნარი. ჭიპლარის არტერიებში შეყვანილი კათეტერებიდან ვახდენდით პლაცენტის პერფუზიას ნატრიუმის დოდეცილ სულფატის (SDS - SIGMA) ხსნარით 72 საათის განმავლობაში. პირველი 24 საათის განმავლობაში გამოიყენებოდა 0,01 %-იანი SDS. ამის შემდეგ გამოყენებულ იქნა 0,1% და 1%-იანი SDS -ის ხსნარი (24-24 საათი). SDS-ის ხსნარით პერფუზიის შემდეგ პლაცენტა ირეცხებოდა 1%-იანი ტრიტონ X - 100 (სურათი 4).



სურათი 1. ადამიანის პლაცენტა დეცელულარიზაციამდე



სურათი 2. ჭიპლარის არტერიებისა და ვენის იზოლაციის პროცესი



სურათი 3. ჭიპლარის არტერიებისა და ვენის კათეტერიზაცია



სურათი 4. ადამიანის პლაცენტის დეცელულარიზაციის პროცესი

ადამიანის პლაცენტის დეცელულარიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ ხდებოდა ამნიონური მემბრანის პლაცენტისაგან გამოცალკევება (სურათი 5, 6, 7) და ამნიონის მემბრანის დაჭრა  $3 \times 4$  სმ ზომის ფირფიტებად. მიღებული მემბრანის

ფირფიტები თავსდებოდა ლიოფილიზაციის აპარატში “Power Dry PL 6000 Freeze Dryers” (He- Labware) (სურ. 8).



სურათი 5. ადამიანის პლაცენტა დეცელულარიზაციის შემდეგ



სურათი 6. ამნიონური მემბრანის პლაცენტისაგან გამოცალკევება ადამიანის პლაცენტის დეცელულარიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ



**სურათი 7. ადამიანის დეცელულარიზებული ამნიონური მემბრანა  
ლიოფილიზაციამდე**



**სურათი 8. დეცელულარიზირებული ადამიანის ამნიონური მემბრანის ფირფიტები  
მოთავსებული ლიოფილიზაციის აპარატში**

ადამიანის ამნიონისაგან მიღებული დეცელულარიზებული ფირფიტები ლიოფილიზაციის შემდეგ თავსდებოდა სტერილულ პირობებში და ინახებოდა გამოყენებამდე. (სურ. 9 ).



**სურათი 9. ადამიანის ამნიონის დეცელულარიზებული მემბრანა ლიოფილიზაციის  
შემდეგ შენახული გამოყენებამდე**

ამნიონური მემბრანის დნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა დეცელულარიზაციამდე და დეცელულარიზაციის შემდეგ - ამნიონური მემბრანის დნმ-ს იზოლაცია დეცელულარიზაციამდე და დეცელულარიზაციის შემდეგ მოხდა სტანდარტული კომერციული ნაკრების გამოყენებით (G - spin Kit; iNtRON ბიოტექნოლოგია).  
მთლიანი დნმ განისაზღვრა სპექტროფოტომეტრზე (NanoDrop 1000; Thermo Fisher Scientific) ტალღის სიგრძეზე 260 ნმ. ყველა ნიმუში ნორმალიზდა ადამიანის ამნიონის მშრალ წონაზე.


ადამიანის ამნიონის მემბრანაში დნმ-ის შემცველობა დეცელულარიზაციამდე იყო 338 მკგ / მლ. დეცელულარიზაციის პროცედურის შემდეგ, დნმ-ის ნარჩენი შემცველობა 2% -ზე ნაკლები გახდა.

**3. 2 ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მიღების ოპტიმიზაცია. ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების რაოდენობის და მათი სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრა.** ადამიანის დეცელულარიზირებული ამნიონისაგან ბიოლოგიურად აქტიური მემბრანის შექმნისათვის გამოვიყენეთ ვირთაგვის ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები. ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მისაღებად გამოყენებულ იქნა

ორივე სქესის Lewis - ის ხაზის 15 თეთრი ლაბორატორული ვირთაგვა მასით 200-250გ. ექსპერიმენტის ოქმები და ცხოველთა გამოყენება დამტკიცებული იყო ცხოველთა დაცვის ინსტიტუტის კომიტეტის მიერ. ლეტალური ინექციის შემდეგ (0,5% ნატრიუმის თიოპენტალის ხსნარი) მოხდა ცხოველებისთვის ქვედა კიდურების ამპუტაცია, ბარძაყის ძვლის კუნთოვანი ქსოვილისგან გასუფთავება და ძვლის რეზექცია ეპიფიზისა და დიაფიზის არეში. ძვლის ტვინის ასპირაციის შემდეგ განხორციელდა მისი დისოციაცია ციტრატით, EDTA და Dulbecco's phosphate-buffered saline (DPBS) -ს ხსნარის გამოყენებით. მონონუკლეარული ფრაქცია გამოიყო გრადიენტული მათოდით Ficoll Paque Plus-ის გამოყენებით (სურათი 10, 11).



სურათი 10. ვირთაგვის ბარძაყის ძვლიდან ძვლის ტვინის იზოლაციის პროცესი




სურათი 11. ვირთაგვის ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მონონუკლეარული ფრაქციის გამოყოფა გრადიენტული მათოდით Ficoll Paque Plus-ის გამოყენებით


ღეროვანი უჯრედების ნაწილი მოთავსდა Neubauer-ის კამერაში, და მოხდა მათი სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება (სურათი 12) ტრიპან ლურჯით (Sigma).

**3. 3 ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მოთავსების მეთოდის შემუშავება**  
ადამიანის ამნიონისაგან მიღებულ დეცელულარიზებულ სამგანზომილებიან  
მატრიქსზე და შესასაბამისად, ბიოლოგიურად აქტიური მემბრანის შექმნა.  
ღეროვანი უჯრედების დანარჩენი ნაწილი მოთავსდა რეგიდრირებულ ადამიანის დეცელულარიზებული ამნიონის მემბრანის ზედაპირზე (სურათი 13, 14).  
დეცელულარიზებული ამნიონური მემბრანა კარგად გაირეცხა სტერილურ phosphate-buffered saline (PBS) 30 წუთის განმავლობაში. მთლიანობაში ადამიანის დეცელულარიზებულ ამნიონურ მემბრანის ზედაპირზე მოთავსდა  $2.5 \times 10^6$  მონონუკლეარული უჯრედი. 15 წუთის შემდეგ მონონუკლეარული უჯრედების იგივე რაოდენობა მოთავსდა დეცელულარიზებული ამნიონური მემბრანის მეორე მხარეზეც, ასე გაგრძელდა 1 საათის განმავლობაში. ყოველ 15 წთ-ში ხდებოდა ამნიონური მემბრანის ორივე მხარეს ღეროვანი უჯრედების მოთავსება.


დეცელულარიზებული ამნიონური მემბრანა, რომელზეც მოთავსებული იყო მონონუკლეარული უჯრედები მოთავსდა ტენიან გარემოში, ინკუბატორში ( $37^{\circ}\text{C}$ , 5% CO<sub>2</sub>) 4 დღის განმავლობაში. შემდგომში, ბიოლოგიურად აქტიური მემბრანის ლიოფილიზაცია და გამოყენებამდე მისი შენახვა ასეპტიკურ გარემოში.



სურათი 12. ძვლის ტვინის მონონუკლეარული ფრაქციის სიცოცხლიუნარიანობის განსაზღვრა ტრიპან ლურჯის ხსნარის გამოყენებით



სურათი 13. საკვებ ნიადაგში მოთავსებული დეცელულარიზებული ამნიონის მემბრანა და მასზე განლაგებული ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები



**სურათი 14. ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრებები მოთავსებულია ადამიანის დეცელულარიზირებულ ამნიონის მემბრანის ზედაპირზე. შეღებვა ჰემატოქსილინ ეოზინით. გადიდება X400.**

**3. 4 დასხივებით გამოწვეული მესამე ხარისხის დამწვრობის ჭრილობის მოდელირება და ბიოლოგიურად აქტიური ჭრილობის გამოყენება.**  
 დასხივებით გამოწვეული მესამე ხარისხის დამწვრობის ჭრილობის მოდელირებისთვის შერჩეულ იქნა ორივე სქესის Lewis-ის ხაზის 45 თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვა, 8-10 კვირის ასაკის და 200-250გრ მასით. ცხოველები მიღებული იყო თბილისის სახელმწოფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცხოველთა დაწესებულებიდან და გამოყენებულ იქნა როგორც დონორებად, ისე რეციპიენტებად. ექსპერიმენტის ოქმები და ცხოველთა გამოყენება დამტკიცებული იყო ცხოველთა დაცვის ინსტიტუტის კომიტეტის მიერ. ყველა ოპერაცია მიმდინარეობდა ინტრააბდომინალური ანესტეზიის ქვეშ, ეტამინალ-ნატრიუმის გამოყენებით (30მგ/კგ), ასეპტიკული და ანტისეპტიკული დაცვის პირობებში.

ცხოველები დაიყო 3 ეკვივალენტურ ჯგუფად, თითო ჯგუფში 15 ცხოველი.

ცხრილი 1 -ში ასახულია ოპერაციული ჩარევის სახეები, საცდელი ცხოველების ჯგუფები და ჯგუფებში ცხოველთა რაოდენობა.

ჯგუფი	ოპერაციული ჩარევის სახეები	ცხოველების რაოდენობა
I	III ხარისხის კანის სხივური დამწვრობის მოდელი. კანის სხივური დამწვრობის მკურნალობა 10% სინტომიცინის ლინიმენტით	15
II	III ხარისხის კანის სხივური დამწვრობის მოდელი. კანის სხივური დამწვრობის მკურნალობა ქირურგიული იმპლანტით (Colorado Therapeutics USA)	15
III	III ხარისხის კანის სხივური დამწვრობის მოდელი. კანის სხივური დამწვრობის მკურნალობა ჩვენ ს მიერ შემუშავებული ბიოლოგიურად აქტიური საფენის გამოყენებით	15

ცხრილი 1. საცდელი ცხოველების ჯგუფები, ოპერაციული ჩარევის სახეები, საცდელი ცხოველების რაოდენობა ჯგუფებში.

პირველი ჯგუფის ცხოველებში ( $n=15$ ) დასხივებიდან 5 დღის შემდეგ ჩატარდა ჭრილობის ქირურგიული დამუშავება, ამოიკვეთა დასხივების შედეგად დამწვარი გარშემომდებარე კანი, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი, ზედაპირული ფასცია და წარმოქმნილი დეფექტი დიამეტრით 1 სმ<sup>2</sup> დაიფარა 10% სინტომიცინის ლინიმენტით. მეორე ჯგუფის ცხოველებში ( $n=15$ ) ასევე დასხივებიდან 5 დღის შემდეგ ჩატარდა ჭრილობის ქირურგიული დამუშავება და კანის დეფექტი დიამეტრით 1 სმ<sup>2</sup> დაიფარა ქირურგიული იმპლანტით (Colorado Therapeutics), რომელიც დაფიქსირდა კანზე

კვანძოვანი ნაკერებით. მესამე ჯგუფის ცხოველებში ( $n=15$ ) დასხივებიდან 5 დღის შემდეგ ჩატარდა ჭრილობის ქირურგიული დამუშავება და კანის დეფექტი დიამეტრით 1 სმ<sup>2</sup> დაიფარა ჩვენს მიერ შემუშავებული ბიოლოგიურად აქტიური საფენით.

დასხივების წყაროდ გამოიყენებოდა რადიაციული მოწყობილობა (RUM-17, რუსეთი). მილის ვოლტაჟი იყო 250 kV, მილში დენის ნაკადი იყო 10 mA, ხოლო მანძილი დასხივების მოწყობილობიდან საცდელი ცხოველამდე იყო 25 სმ. 60 Gy-მდე დოზამ მიაღწია ზედაპირამდე, ხოლო ზედაპირის დაზიანების დიამეტრმა - 1-დან 1.3 სმ-მდე.

ოპერაციის შემდეგ ყველა ცხოველი მოთავსებული იქნა ვივარიუმის სტანდარტულ პირობებში და ცდიდან 3, 7, 14, 30, 60 და 90 დღეზე ხდებოდა დაკვირვება.

პოსტოპერაციულ პერიოდში, პლანიმეტრული მეთოდით განისაზღვრა ჭრილობების შეხორცების სიჩქარე. პოსტოპერაციულად ჭრილობის ანგიოგენეზის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა ტრანსილუმინაციის მეთოდი. აუტოპსიაზე მიღებული მასალა შევისწავლეთ ციტოლოგიური, ჰისტოლოგიური და სკანირებადი მიკროსკოპიის მეთოდების გამოყენებით.

### **3. 5 ანატომიური კვლევის მეთოდები**

ანატომიური კვლევისთვის ჩატარდა აუტოპსია 10 თეთრ ლაბორატორიულ ვირთაგვაზე. კანის, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის, ზედაპირული ფასციის, აპონევროზებისა და კუნთების ტოპოგრაფიის შესწავლა მოხდა ანატომიური დისექციის მეთოდით. კანის ზედაპირული და ორმა სისხლძარღვთა სისტემის შესასწავლად გამოვიყენეთ ფერადი საღებარი (ცივი მასა) და რადიოკონტრასტული ნივთიერებები (კარდიოტრასტი) რომლებიც შეყვანილ იქნა ვირთაგვების აორტაში პუნქცია-ინფუზიის მეთოდით. პარალელურად, გამოვიყენეთ ტრანსილუმინაციის მეთოდი OS-100 ილუმინატორის (რუსეთი) და MBS-9 ბიოლოგიური მიკროსკოპის საშუალებით.

**3. 6 ჰისტოლოგიური და იმუნოპისტოლოგიური კვლევის მეთოდები**  
 ჰისტოლოგიური გამოკვლევისთვის ზურგის მიდამოდან აღებული იყო ნორმალური კანის სრულშრიანი ანათალები  $3 \times 3 \times 0,5$  სმ ზომით.

ადამიანის ნატიური ამნიონური მემბრანა, დეცელულარიზირებული ამნიონური მემბრანა, ბიოლოგიურად აქტიური ჭრილობის საფენი გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ ჰისტოლოგიური კვლევისათვის დაფიქსირდა 10% ნეიტრალურ ფორმალინში, ჩაყალიბდა პარაფინში და დაიჭრა 5 მიკრონი სისქის ნაჭრებად. დეპარაფინიზაციისა და რეჰიდრატაციის შემდეგ ქსოვილი შეიღება ჰემატოჯესილინ ეოზინით და მასონ - ტრიქრომით.

თითოეული ჰისტოლოგიური პრეპარატის შესწავლა მოხდა მიკროსკოპით (E100; Nikon Corporation, Tokyo, Japan) და სტერეოსკოპული მიკროსკოპით (MBS-9; Lomo, St. Petersburg, Russia).

იმუნოპისტოქიმიური შეღებისათვის გამოყენებული იყო პარაფინში დაფიქსირებული 3 მიკრონი სისქის ქსოვილი. ბიოლოგიურად აქტიურ საფენში კოლაგენის I α1-ის და ფიბრონექტინის ანტისხეულების განსაზღვრისათვის, მოხდა სლაიდებზე დაფიქსირებული მასალის დეპარაფინიზირება და რეჰიდრატაცია.

თითოეული ჰისტოლოგიური პრეპარატის შესწავლა მოხდა სტერეოსკოპული მიკროსკოპით.

**3. 7 ადამიანის ამნიონური მემბრანის სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპია დეცელულარიზაციამდე და დეცელულარიზაციის შემდეგ**  
 სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპით მასალის ანალიზისთვის, მოხდა ნორმალური ამნიონური მემბრანის და ბიოაქტიური ამნიონური საფენის ქსოვილების ლიოფილიზაცია. გამოშრობის დასრულების შემდეგ, ყველა ქსოვილი დაიფარა ოქროთი დაფარვის ვაკუუმ ტექნოლოგიის გამოყენებით და მათი გამოსახვა მოხდა JEOL JSM-65 10 LW სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპით (JEOL Ltd, ტოკიო, იაპონია).

### 3. 8 ჭრილობის შეხორცების პარამეტრების აღრიცხვა დინამიკაში პლანიმეტრიული მეთოდის გამოყენებით.

ჭრილობის შეხორცების სიჩქარის ობიექტური შეფასებისთვის გამოვიყენეთ პლანიმეტრიული მეთოდი. ამისათვის ჭრილობაზე ვაფარებდით ცელოფანის ფირფიტას, რომელზეც მელნით ვაფიქსირებდით ჭრილობის კონტურებს დანამიკაში. შემდეგ ცელოფანი და მასზე აღნიშნული ჭრილობის კონტურები თავსდებოდა მილიმეტრიანი ქაღალდზე და ჭრილობის ფართობი განისაზღვრებოდა კონტურის შიგნით კვადრატული მილიმეტრის რაოდენობის დათვლით. ჭრილობის შემცირების პროცენტული მაჩვენებელი დღის განმავლობაში განისაზღვრა ფორმულით:

$$St = So \exp(-t/T)$$

სადაც  $So$  - ჭრილობის არე,  $St$  - ჭრილობის არე დროში  $t$ , და  $T$  პარამეტრი ასახავს ჭრილობის შეხორცების სიჩქარეს.  $T$  პარამეტრი განსხვავებულია ყველა ჯგუფისთვის. რაც უფრო მცირეა  $T$  პარამეტრი, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს ჭრილობის შეხორცების პროცესი.


### 3. 9 კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება

კვლევის ფარგლებში შეფასდა ჭრილობის შეხორცების პროცესი ექსპერიმენტში მონაწილე ერთ ძირითად და 2 შესადარებელ ჯგუფში. ჭრილობის არეების გაზომვა ხდებოდა ჭრილობის მოდელირებიდან მე-3, მე-7, 14-ე, 30-ე, 45-ე, მე-60 და 75-ე დღეებზე. ანალიზის დროს გამოთვლილ იქნა ჭრილობის უბნების საშუალო არითმეტიკული, სტანდარტული გადახრა, სარწმუნობის ინტერვალი. ძირითად და საკონტროლო ჯგუფებში მიღებული შედეგების სხვაობის სარწმუნობის დასადგენად გამოთვლილ იქნა  $t$ -ტესტი. დამაჯერებლობის დონედ განსაზრვრულ იქნა 0.05. შედეგი დამაჯერებლად ჩაითვლება როცა  $P < 0.05$ . მონაცემთა დასამუშავებლად გამოყენებულ იქნა სტატისტიკური პროგრამა IBM SPSS Statistics 26 ვერსია.

## თავი IV

### 4. 1 კვლევის შედეგები

როგორც აჩვენა ჩატარებულმა ანატომიურმა კვლევებმა, კანის სტრუქტურა და მისი დანამატები თეთრ ლაბორატორიულ ვირთაგვებში ზურგის არეში წარმოდგენილია ეპიდერმისით, დერმით, ცხიმოვანი და ფიბროზული შრეებით. თვითონ ეპიდერმისი წარმოდგენილია ბაზალური, წვეტიანი, მარცვლოვანი, და რქოვანი შრეებით (სურათი 15).




**სურათი 15. ვირთაგვის კანის ჰისტოლოგიური სურათი. შეღებვა ჰემატოქსილინ ეოზინით. გადიდება x 200**

ბაზალური შრე შედგება ბაზალურ მემბრანაზე ერთ რიგად განლაგებული პრიზმული უჯრედებისგან (ბაზალური ეპიდერმოციტები), რომლებშიც არის ბაზალური მემბრანის მიმართ პერპენდიკულარულად მიმართული ბირთვები. წვეტიანი შრის პლაზმოლემები წარმოქმნიან ღრმა, ურთიერთშემღწევ წანაზარდებს და დესმოსომებთან დამაკავშირებელ წანაზარდებს. წვეტიანი შრის უჯრედებში ტონფიბრილები უფრო მეტია, ვიდრე ბაზალურ შრეში, ისინი ბირთვების გარშემო არიან მჭიდროდ და კონცენტრირებულად განლაგებულნი და ჩაზრდილი არიან დესმოსომებში.


მარცვლოვან შრეში განლაგებულია სწორი კონტურების მქონე უჯრედები რომლებიც შეიცავენ კერატოპიალინის გრანულებს. რქოვანა შრე წარმოქმნილია მთლიანად გარქოვანებული უბირთვო უჯრედებით. რქოვანა გარსის მემბრანა გასქელებულია, უჯრედები შეიცავენ კერატინს.

დერმა შედგება ბოჭკოებით მდიდარი და უჯრედებით შედარებით ღარიბი მკვრივი, შემაერთებელი ქსოვილისგან, რომელიც წარმოადგენს კანის დანამატების (თმების, ფრჩხილების, საოფლე და ცხიმოვანი ჯირკვლების), სისხლძარღვების და ნერვების საყრდენს. მასში გამოყოფენ ორ შრეს: ეპიდერმისის მოსაზღვრე დვრილისებრი და ბადისებრი (რეტიკულური) შრეები. კანქვეშა ქსოვილი შედგება კოლაგენური, ელასტიური და რეტიკულური ბოჭკოების ფაშარი ქსელისაგან, რომელთა მარყუჟებშიც განლაგებულნი არიან ცხიმოვანი ქსოვილის გროვები. დერმაში ხორციელდება სისხლძარღვების განტოტიანება და ანასტომოზების ჩამოყალიბება ღრმა და ზედაპირული პარალელური სისხლძარღვოვანი ქსელების სახით. ფიბროზული შრე წარმოდგენილია შემაერთებელი ქსოვილის ბოჭკოებით.


ვირთაგვის კანზე ჩატარებულმა ტრანსილუმინაციის მეთოდებმა გვიჩვენა, რომ ვირთაგვის კანის მიკროკაპილარული ქსელი ნაკლებად არის განვითარებული ადამიანის კანთან შედარებით (სურათი 16, 17, 18, 19, 20)




სურათი 16. ვირთაგვის კანის მიკროკაპილარული ქსელი




სურათი 17. ვირთაგვის კანქვეშა მიკროგაპილარული ქსელი



სურათი 18. სტერესკოპული მიკროსკოპია. ვირთაგვის კანქვეშა  
მიკროგაპილარული ქსელი




სურათი 19. ვირთაგვის კანქვეშა მიკროვაპილარული ქსელის ტრანსილუმინაცია.  
გადიდება - 20X



სურათი 20. ვირთაგვის კანის მიკროვაპილარული ქსელი. არტერიებში შეყვანილია წითელი ფერის კონტრასტული მასა, ვენებში, კი, ლურჯი ფერის კონტრასტული მასა

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანის კანისა და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის სქრუქტურა დიდად არ განსხვავდება ვირთაგვის კანის სტრუქტურისაგან, რაც გვაძლევს საშუალებას, გამოვიყენოთ ვირთაგვის კანი ჭრილობის მოდელირებისათვის.


ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა რომ ადამიანის ამნიონური მემბრანა დეცელულარიზაციის შემდეგ ინარჩუნებს თავის ბუნებრივ სტრუქტურას დაზიანების გარეშე (სურათი 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28).



სურათი 21. ადამიანის ამნიონური მემბრანა დეცელულარიზაციამდე. შეღებვა  
ჰემატოჯესილინ-ეოზინით. გადიდება - 200X




სურათი 22. ადამიანის ამნიონური მემბრანა დეცელულარიზაციამდე.  
სტერეოსკოპული მიკროსკოპია. გადიდება - 20X



სურათი 23. მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპია. ადამიანის ამნიონური  
მემბრანა დეცელულარიზაციამდე.




სურათი 24. მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპია. ადამიანის ამნიონური  
მემბრანა დეცელულარიზაციამდე.




სურათი 25. ადამიანის ამნიონური მემბრანა დეცელულარიზაციის შემდეგ.

სტერეოსკოპული მიკროსკოპია. გადიდება X-20




სურათი 26. ადამიანის ამნიონური მემბრანა დეცელულარიზაციის შემდეგ-შეღებვა

ჰემატოქსილინ-ეოზინით. გადიდება X-800



სურათი 27. ადამიანის ამნიონური მემბრანა. ფლუორესცენტული მიკროსკოპია.



გადიდება X-80




სურათი 28. ადამიანის ამნიონური მემბრანა დეცელულარიზაციის შემდეგ.

სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპია.

ადამიანის დეცელულარიზირებული ამნიონური მემბრანა შეიცავს დიდი რაოდენობით ციტოკინებს და ზრდის ფაქტორებს, მათ შორის ეპიდერმულ ზრდის ფაქტორს (EGF), ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორს (FGF), კერატინოციტების ზრდის ფაქტორს (KGF), სისხლძარღვთა ენდოთელურ ზდის ფაქტორს (VEGF) და ზრდის თრომბოციტულ ფაქტორს (PDGF). კვლევებმა ასევე გვიჩვენა, რომ ადამიანის ამნიონური მემბრანა შეიცავს ეპითელურ, ბაზალურ, კომპაქტურ, ფიბრობლასტურ და ღრუბლოვან შრეებს. ეპითელურ შრეში განლაგებულია ერთბირთვიანი ეპითელური უჯრედები. ბაზალური შრე შეიცავს რეტიკულური ბოჭკოების თხელ ქსელს და წარმოდგენილია III, IV, V ტიპის კოლაგენით, ფიბრონექტინით, და ლამინინით (სურათი 16). კომპაქტური შრე შეიცავს რეტიკულურ ბოჭკოებს. მასში ასევე განლაგებულია I, III, V, VI ტიპის კოლაგენი. ფიბრობლასტების შრე შეიცავს ჰისტიოციტებს, მიოფიბრობლასტებს და მაკროფაგებს. ღრუბლოვანი შრე კი წარმოდგენილია I, III, V ტიპის კოლაგენითა და პროტეოგლიკანებით (სურათი 29, 30).




**სურათი 29.** ადამიანის ამნიონური მემბრანა დეცელულარიზაციის შემდეგ ინარჩუნებს თავის ბუნებრივ სტრუქტურას დაზიანების გარეშე. ა) შეღებვა ჰემატოსილინ-ეოზინით. გადიდება  $\times 200$  ბ) შეღებვა მასონ ტრიქრომით. გადიდება  $\times$




**სურათი 30. ფლუორესცენტული იმუნოჰისტოქიმია, ადამიანის  
დეცელულარიზირებულ ამნიონურ მემბრანაში გამოვლენილია ფიბრონექტინი და  
ლამინინი**


ჩატრებული კვლევების მიხედვით, ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გამოყოფის მეთოდმა Ficoll Paque Plus-ის გამოყენებით, საშუალება მოგვცა მიგვეღო 90 %-ზე მეტი სიცოცხლისუნარიანი ღეროვანი უჯრედები (სურათი 31, 32, 33).



**სურათი 31. იმუნფლუორესცენტული მიკროსკოპია. იზოლირებილი ძვლის ტვინის  
ღეროვანი უჯრედების მონონუკლეარული ფრაქცია. შეღებვა MID126-1KT. გადიდება  
x 1000**




სურათი 32. იმუნფლუორესცენტული მიკროსკოპია. იზოლირებილი ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მონონუკლეარული ფრაქცია. შეღებვა DAPI, ან 4',6-დიამინო-2-ფენილინდოლი. გადიდება  $\times 1000$



სურათი 33. მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპია. იზოლირებილი ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მონონუკლეარული ფრაქცია.


პირველი ჯგუფის ცხოველებში ზურგის არეში შეიქმნა სხივური დამწვრობის მოდელი 1 სმ<sup>2</sup> დიამეტრით და 0,3 სმ. სიღრმით. დასხივებიდან 5 დღის შემდეგ ჭრილობის ქირურგიული დამუშავება, ამოიკვეთა დასხივების შედეგად დამწვარი კანი, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი, ზედაპირული ფასცია და წარმოქმნილი დეფექტი დიამეტრით 1 სმ<sup>2</sup>, დაიფარა 10 % სინტომიცინის ლინიმენტით. კანის ჭრილობის მოდელირების შემდეგ იმყოფებოდნენ დაკვირვების ქვეშ (სურათი 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41)



სურათი 34. სტერეოსკოპული მიკროსკოპია. III ხარისხის კანის სხივური დამწვრობის მოდელი გადიდება x20



სურათი 35. III ხარისხის კანის სხივური დამწვრობის ჭრილობის ქირურგიული  
დამუშავების შემდეგ



სურათი 36. III ხარისხის კანის სხივური დამწვრობის ჭრილობა მკურნალობის  
შემდეგ. დაკვირვების ვადა - 8 დღე




სურათი 37. III ხარისხის კანის სხივური დამწვრობის ჭრილობა მკურნალობის  
შემდეგ. დაკვირვების ვადა - 14 დღე.




სურათი 38. III ხარისხის კანის სხივური დამწვრობის ჭრილობის დახურვის პროცესი  
დაკვირვების ვადა - 28 დღე.



სურათი 39. III ხარისხის კანის სხივური დამწვრობის ჭრილობის დახურვის  
პროცესი დაკვირვების ვადა - 45 დღე.



სურათი 40. III ხარისხის კანის სხივური დამწვრობის ჭრილობა. დაკვირვების ვადა-  
28 დღე. შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით. გადიდება  $\times 400$



სურათი 41. III ხარისხის კანის სხივური დამწვრობის ჭრილობა. დაკვირვების ვადა-  
45 დღე. შეღებვა ჰემატოქსილინ ეოზინით. გადიდება  $\times 400$

ზურგის არეში ცხოველის კანის დასხივება 60 Gy დოზით იწვევდა მესამე ხარისხის დამწვრობას. მე-2 ჯგუფის ცხოველებში, დასხივებით გამოწვეული ჭრილობის ქირურგიული დამუშავების შემდეგ ჭრილობა დაიფარა ქირურგიული იმპლანტით (Colorado Therapeutics. USA) (სურათი 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50).



სურათი 42. დასხივებით გამოწვეული ჭრილობის მოდელირების 5 დღის შემდეგ ჩატარდა ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება.



სურათი 43. დასხივებით გამოწვეული ჭრილობის ქირურგიული დამუშავების შემდეგ ჭრილობა დაფარულია ქირურგიული იმპლანტით (Colorado Therapeutics. USA), დაკვირვების ვადა - 12 დღე



სურათი 44. ჭრილობა დაფარულია ქირურგიული იმპლანტით (Colorado Therapeutics. USA), დაკვირვების ვადა - 15 დღე.




სურათი 45. ჭრილობა დაფარულია ქირურგიული იმპლანტით (Colorado Therapeutics. USA). დაკვირვების ვადა - - 20 დღე.




სურათი 46. დასხივებით გამოწვეული ჭრილობის დახურვის პროცესი. დაკვირვების  
ვადა - 24 დღე.




სურათი 47. დასხივებით გამოწვეული ჭრილობის დახურვის პროცესი. დაკვირვების  
ვადა - 30 დღე.



სურათი 48. დასხივებით გამოწვეული ჭრილობის მოდელირება. დაკვირვების ვადა  
მკურნალობიდან - 14 დღე. შეღებვა ჰემატოქსილინ ეოზინით. გადიდება  $\times 400$



სურათი 49. დასხივებით გამოწვეული ჭრილობის მოდელირება. დაკვირვების ვადა  
მკურნალობიდან - 28 დღე. შეღებვა ჰემატოქსილინ - ეოზინით. გადიდება  $\times 400$



**სურათი 50.** დასხივებით გამოწვეული ჭრილობის მოდელირება. დაკვირვების ვადა  
მკურნალობიდან - 45 დღე. შეღებვა ჰემატოქსილინ - ეოზინით. გადიდება  $\times 400$


სამივე ჯგუფის ცხოველებში ექსპერიმენტის დასაწყისში ჭრილობის საშუალო ფართობი იყო  $7.07 \pm 0.93$  სმ<sup>2</sup>.

პირველი ჯგუფის ცხოველებში ჭრილობის შექმნიდან 24 საათის შემდეგ წარმოიქმნა ყავისფერი ფუფხი, რომელიც იყო ინფილტრირებული სხვადასხვა უჯრედული ელემენტებით. მესამე დღეს, ჭრილობის საშუალო ფართობი სამივე ჯგუფში განსხვავდებოდა. პირველ ჯგუფში იგი შეადგინდა  $3.98 \pm 0.72$  სმ<sup>2</sup> ( $CI_{95\%}=3.581 - 4.379$ ). მე - 5 დღიდან ფუფხის ცენტრალურმა ნაწილმა დაიწყო დარბილება, ფუფხზე ზეწოლის შედეგად, ჭრილობიდან სეროზულ-ჩირქოვანი ექსუდატი გამოიყოფოდა. მე - 7 დღეს ჭრილობის საშუალო ფართობი კიდევ უფრო შემცირდა და გახდა  $1.55 \pm 0.49$  სმ<sup>2</sup> ( $CI_{95\%}=1.279 - 1.821$ ). მე-12 დღეს დაზიანებულ უბანში აღინიშნა შეშუპება, ნეიტროფილური ინფილტრაცია და ქსოვილების ნეკროზული უბნების წარმოქმნა. მე-14 დღეს ჭრილობის საშუალო ფართობი  $3.6$ -ჯერ შემცირდა  $0.43 \pm 0.12$  სმ<sup>2</sup> ( $CI_{95\%}=0.364 - 0.496$ ). 25-ე დღეს ჭრილობის ზედაპირი დაფარული იყო რამდენიმე ვარდისფერი გრანულაციური ქსოვილით. პირველი ჯგუფის ცხოველებში შეხორცების პროცესი დასრულდა 45-ე დღეს, როდესაც ჭრილობის საშუალო ფართობი შეადგინდა მხოლოდ  $0.01 \pm 0.01$  სმ<sup>2</sup> ( $CI_{95\%}=0.004 - 0.016$ ).


მეორე ჯგუფის ცხოველებში, დასხივებიდან 5 დღის შემდეგ, ჩატარდა ჭრილობის ქირურგიული დამუშავება და კანის დეფექტის დიამეტრით 1 სმ<sup>2</sup>, დაიფარა ქირურგიული იმპლანტით, რომელიც დაფიქსირდა კანზე კვანძოვანი ნაკერით, საფენის დაფარებიდან 24 საათის შემდეგ, ქირურგიული იმპლანტის ქვეშ წარმოიქმნა ყავისფერი ფუფხი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭრილობის საშუალო ფართობი ექსპერიმენტის დასაწყისში შეადგენდა  $7.07 \pm 0.93$  სმ<sup>2</sup>-ს. მესამე დღეს მეორე ჯგუფისთვის მისმა ფართობმა შეადგინა  $5.85 \pm 0.83$  სმ<sup>2</sup> ( $CI_{95\%}=5.39 - 6.31$ ). მე-5 დღიდან ფუფხის ცენტრალურმა ნაწილმა დაიწყო დარბილება და გამოჩნდა ქირურგიული იმპლანტის ქსოვილები. ქირურგიულ იმპლანტზე ზეწოლის შედეგად, ჭრილობიდან გამოიყო სეროზულ-ჩირქოვანი ექსუდატი. მე-7 დღეს ჭრილობის საშუალო ფართობი შემცირდა და გახდა  $3.58 \pm 0.58$  სმ<sup>2</sup> ( $CI_{95\%}=3.259 - 3.901$ ). მეორე ჯგუფის ცხოველებში, მე-14 დღეს, დაზიანებულ უბანში აღინიშნებოდა შეშუპება, ჭარბი ნეიტროფილური ინფილტრაცია და ქსოვილების ნეკროზული უბნები, რაც მიჩნეულ იყო მიმდინარე ანთების ექსუდაციურ ფაზად. ჭრილობაში მიკროციროცირკულაციური დარღვევები გამოვლინდა კაპილარული სტაზით და ერითროციტების ჰემოლიზის სახით. ჭრილობის ფართობმა კი შეადგინა  $1.93 \pm 0.32$  სმ<sup>2</sup> ( $CI_{95\%}=1.753 - 2.107$ ). მე-20 დღეს, ჭრილობის საშუალო ფართობი 3-ჯერ შემცირდა და შეადგინა  $0.64 \pm 0.11$  სმ<sup>2</sup> ( $CI_{95\%}=0.579 - 0.701$ ). მეორე ჯგუფის ცხოველებში, 24-ე დღეზე ჭრილობის ზედაპირი დაფარული იყო რამდენიმე ვარდისფერი გრანულაციური უბნით და აღინიშნებოდა ქირურგიული იმპლანტის ნარჩენი ქსოვილები. 28-ე დღეს ჭრილობის მთლიანი ზედაპირი დაფარული იყო ახალი გრანულაციური ქსოვილით. აღინიშნებოდა არათანაბარი სისქის ეპითელური შრე. მეორე ჯგუფის ცხოველებში, ჭრილობების შეხორცება დასრულდა 28-30 დღეზე. დამწვრობის შედეგად წარმოქმნილმა ჭრილობამ მიიღო წაგრძელებული ფორმა შემდგომი ეპითელიზაციისა და უხეში ნაწიბურის განვითარების გამო. 24-ე დღეზე ჭრილობის საშუალო ფართობი შეადგენდა  $0.22 \pm 0.04$  სმ<sup>2</sup>-ს ( $CI_{95\%}=0.198 - 0.242$ ), ხოლო 28 - 30-ე დღეზე -  $0.03 \pm 0.02$  სმ<sup>2</sup> -ს ( $CI_{95\%}=0.019 - 0.041$ ).

მესამე ჯგუფის ცხოველებში დასხივებით გამოწვეული მესამე ხარისხის დამწვრობის ჭრილობის მოდელირების შემდეგ მოხდა ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება, რაც გამოიხატა ნეკროზული ქსოვილების მოცილებაში. ამის შემდეგ, მე-5


დღეს, ჭრილობა დაიფარა ადამიანის ამნიონისაგან მიღებული ბიოლოგიურად აქტიური საფენით (GEO მემბრანით) (51, 52, 53, 54).




სურათი 51. ფლუორესცენტული იმუნოპისტოქიმია. დეცელულარიზირებული ადამიანის ამნიონური მემბრანა და მასზე მოთავსებული ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები (თეთრი ისრები). გადიდება X 1000.



სურათი 52. დეცელულარიზებული ადამიანის ამნიონური მემბრანა და მასზე მოთავსებული ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები. შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით, გადიდება X800.



სურათი 53. დეცელულარიზებული ადამიანის ამნიონური მემბრანა და მასზე მოთავსებული ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები. სტერეოსკოპული მიკროსკოპია.



სურათი 54. დეცელულარიზირებული ადამიანის ამნიონური მემბრანა და მასზე მოთავსებული ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები. სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპია.

კვლევებმა ასევე გვიჩვენა, რომ GEO მემბრანის გამოყენებიდან მე-3 დღეს, ბიოლოგიურად აქტიური საფენი იყო მშრალი, მუქი ყავისფერი შეფერილობით, რომელიც მჭიდროდ ეფარებოდა ჭრილობის ზედაპირს (სურათი 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64). მე-3 დღეს, მესამე ჯგუფში, ჭრილობის საშუალო ფართობმა შეადგინა  $2.92 \pm 0.68$  სმ<sup>2</sup> ( $CI_{95} = 2.543 - 3.297$ ). ბიოაქტიური საფენზე ზეწოლის შემდეგ ჭრილობიდან გამონაჟონი არ აღინიშნა. წარმოქმნილი ფუფხი, მეორე ჯგუფის ცხოველებთან შედარებით, იყო შესამჩნევად უფრო თხელი და ნაკლებად ინფილტრირებული უჯრედული ელემენტებით. მე-3 ჯგუფის ცხოველებში ფუფხის მოცილება დაიწყო მე-7 დღიდან. ამავე ვადებში ბიოლოგიურად აქტიური საფენის ქვეშ, შესამჩნევი იყო გრანულაციური ქსოვილის ვარდისფერი უბნები. ექსუდაცია არ აღინიშნებოდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გამოწვეული იყო ბიოლოგიურად აქტიური საფენის კარგი აბსორბციის უნარით. მე-7 დღეს ჭრილობის საშუალო ფართობი შეადგენდა  $0.85 \pm 0.34$  სმ<sup>2</sup> ( $CI_{95} = 0.662 - 1.038$ ). მე-14 დღეს ჭრილობის მთლიანი ზედაპირი დაფარული იყო ახალგაზრდა გრანულაციური ქსოვილით. აღნიშნული ქსოვილი შეიცავდა დიდი რაოდენობით ახლად წარმოქმნილ სისხლძარღვებს. თხელკედლიანი სისხლძარღვები ბიოლოგიურად აქტიური მემბრანის მიმართ რადიალურად იყვნენ განლაგებულნი.

ჭრილობის საშუალო ფართობმა კი მხოლოდ  $0.09 \pm 0.02$  სმ<sup>2</sup> ( $CI_{95} = 0.079 - 0.101$ ) შეადგინა.



სურათი 55. სტერეოსკოპული მიკროსკოპია.


დასხივებით გამოწვეული III ხარისხის ჭრილობა . გადიდება x20



**სურათი 56. დასხივებით გამოწვეული ჭრილობის მოდელირების შემდეგ  
ჩატარებული ჭრილობის ქირურგიული დამუშავება**



**სურათი 57. დასხივებით გამოწვეული ჭრილობის მოდელირება. ჭრილობის  
ქირურგიული დამუშავება. ჭრილობა დაიფარა ბიოლოგიურად აქტიური საფენით  
და დაფიქსირდა კვანძოვანი ნაკერებით.**




სურათი 58. ჭრილობა დაფარულია ბიოაქტიური საფენით,  
დაკვირვების ვადა - მე-3 დღე.




სურათი 59. ჭრილობა დაიხურა ნაწილობრივ, დაკვირვების ვადა - 14 დღე




სურათი 60. ჭრილობა სრულად დაიხურა



სურათი 61. დასხივებით გამოწვეული ჭრილობის მოდელირება. დაკვირვების ვადა - 10 დღე. შეღებვა ჰემატოქსილინ ეოზინით. გადიდება  $\times 400$




სურათი 62. დასხივებით გამოწვეული ჭრილობის მკურნალობა ბიოაქტიური საფენის გამოყენებით. დაკვირვების ვადა მოდელირებიდან 14 დღე. შეღებვა ჰემატოქსილინ ეოზინით. გადიდება  $\times 400$



სურათი 63. დასხივებით გამოწვეული ჭრილობის მკურნალობა ბიოაქტიური საფენის გამოყენებით. დაკვირვების ვადა მოდელირებიდან 18 დღე, შეღებვა ჰემატოქსილინ ეოზინით. გადიდება  $\times 400$

მიკროცირკულაციაზე დაკვირვების პროცესმა გამოავლინა მიკროცირკულაციური დარღვევა ყველა ჯგუფში, პირველი სამი დღის განმავლობაში. (სურათი 60).




სურათი 64. ტრანსილუმინაცია. ჭრილობაში აღინიშნებოდა მიკროცირკულაციური დარღვევა. სტერეოსკოპული მიკროსკოპია, გადიდება X20

თუმცა, მესამე ჯგუფის ცხოველებში მეხუთე დღიდან აღინიშნებოდა კაპილარების რაოდენობრივი მატება, რაც მიუთითებდა ნეოვასკულარიზაციის პროცესზე, ხოლო ორი კვირის შემდეგ, კაპილარების რაოდენობა მცირდებოდა და უახლოვდებოდა ნორმას (სურათი 65, 66, 67, 68, 69).




სურათი 65. ტრანსილუმინაცია. ჭრილობა დაფარულია ბიოაქტიური საფენით. სტერეოსკოპული მიკროსკოპია, გადიდება X20




სურათი 66. ტრანსილუმინაცია. ჭრილობა დაფარულია ბიოაქტიური საფენით, რომელიც დაფიქსირებულია კვანძოვანი ნაკერებით. სტერეოსკოპული მიკროსკოპია,

გადიდება X20




სურათი 67. ტრანსილუმინაცია. ბიოაქტიური საფენის მოცილების პროცესი.

სტერეოსკოპული მიკროსკოპია, გადიდება X20




სურათი 68. ტრანსილუმინაცია. ბიოაქტიური საფენის მოცილების შემდეგ,  
კაპილარული ქსელის აღდგენის პროცესი. სტერეოსკოპული მიკროსკოპია,  
გადიდება X20



სურათი 69. ტრანსილუმინაცია. ბიოაქტიური საფენის მოცილების შემდეგ,  
კაპილარული ქსელის აღდგენა. სტერეოსკოპული მიკროსკოპია, გადიდება X20

ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ მესამე ჯგუფის ცხოველებში, დასხივებით გამოწვეული დამწვრობის ჭრილობის სრული შეხორცება აღინიშნა მე-14 დღეს, რასაც თან დაერთო თხელი, ნაზი ნაწიბურის წარმოქმნა (სურათი 70)



სურათი 70. მასკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპია. მაკროპრეპარატი.

ჭრილობის სრული შეხორცება. დაკვირვების ვადა -17 დღე.

### სტატისტიკური ანალიზი

როგორც #2 ცხრილიდან ჩანს, პირველი ჯგუფში ჭრილობის საშუალო ფართობის შემცირება 40-45 დღის განმავლობაში ხდებოდა და 45-ე დღეს უკვე ნულის ტოლი იყო. მეორე ჯგუფში პირველ ჯგუფთან შედარებით ჭრილობის საშუალო ფართობი 28 დღემდეა წარმოდგენილი და მხოლოდ 30-ე დღეს აღინიშნა ნული, ხოლო მესამე, მირითად ჯგუფში ჭრილობის შეხორცება მეორე კვირის თავზე აღინიშნება.

ჭრილობის ფართობის საშუალო არითმეტიკული ექსპერიმენტის სხვადასხვა დროს

### სამივე შესასწავლ ჯგუფში

დღეები	0	3	7	14	30	45	60	75
I ჯგუფი	7.07±0.93	5.85±0.83	3.58±0.58	1.93±0.32	0.64±0.11	0.08±0.04	0.01±0.02	0
CI <sub>95%</sub>	6.555 - 7.585	5.39 - 6.31	3.259 - 3.901	1.753 - 2.107	0.701	0.198 - 0.242	0.019 - 0.041	
II ჯგუფი	7.07±0.93	3.98±0.72	1.55±0.49	0.43±0.12	0.01±0.01	0	0	0
CI <sub>95%</sub>	6.555 - 7.585	3.581 - 4.379	1.279 - 1.821	0.364 - 0.496	0.004 - 0.016			
III ჯგუფი	7.07±0.93	2.92±0.68	0.85±0.34	0.09±0.02	0	0	0	0
CI <sub>95%</sub>	6.555 - 7.585	2.543 - 3.297	0.662 - 1.038	0.079 - 0.101				

მეორე ცხრილში მოცემული მონაცემების ანალიზის მიხედვით, ჭრილობის ფართობის საშუალო არითმეტიკულის სარწმუნობის ინტერვალის შემცირება პირველ ჯგუფში, მიუთითებს ჭრილობის თანმიმდევრულ შეხორცებაზე.

ფართო სარწმუნობის ინტერვალი მეორე ჯგუფში გამოხატავს ჭრილობათა შეხორცების განსხვავებულ პროცესს, რაც ზემოთაც არის აღწერილი, ხოლო მესამე ჯგუფში ჭრილობის საშუალოს სარწმუნობის ინტერვალის ანალიზი ხაზს, კიდევ ერთხელ, უსვამს ჭრილობის სწრაფ და თანმიმდევრულ შეხორცებას.

### კვლევის სტატისტიკური პარამენტები

ჯგუფები	დღეები	3	7	14	30	45	60
I-III	P	p= 0.0003	p=0.0001	p< 0.0001	P=0,001768		
	T	t=4.145	t=4.546	t=10.824	t=3.85		
II-III	P	p< 0.0001	P < 0.0001	P < 0.0001	P=0,00001	P=00001	p=0,000049
	T	t=11.458	t=15.727	t=22.226	t=22,535	t=22	t=5,77

მესამე ცხრილში მოცემულია ძირითად და საკონტროლო ჯგუფებში მიღებული შედეგების სხვაობის სარწმუნობა ჭრილობის შემოწმების ყველა ეტაპზე. როგორც პირველი და მესამე, ისე მეორე და მესამე ჯგუფების შედეგების შედარებამ აჩვენა მაღალი სარწმუნობის შედეგები. ყველა შემთხვევაში P სიდიდე $<0.05$ , რაც კვლევის დასაწყისში მითითებულია სარწმუნობის დონედ.

III ჯგუფი აჩვენებს ჭრილობის უსწრაფეს შეხორცებას. ჭრილობა შეხორცებულია სრულად მე-14 დღისთვის. ჭრილობის ფართობის საშუალო არითმეტიკულების სხვაობა ძირითად მე-3 და ექსპერიმენტულ ჯგუფებს შორის ჭრილობის შემოწმების ყველა ეტაპზე სტატისტიკურად მნიშვნელოვნად სარწმუნოა.

პირველ ჯგუფში შეხორცების პროცესი ყველაზე ნელა მიმდინარეობს საბოლოო შეხორცებით 45-50-ე დღეს.

მეორე ჯგუფში ჭრილობის ფართობის საშუალო სტაბილურად მცირდება, რაც თითქმის სრულ შეხორცებას 28 - 30-ე დღეს აღწევს, თუმცა ამ პროცესით ჩამორჩება ძირითად ჯგუფს, განსაკუთრებით შეხორცების საწყის ეტაპზე.

მეორე და მესამე ჯგუფებს შორის საშუალოთა სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნოა, თუმცა, ჩამოუვარდება პირველი და მესამე ჯგუფების შედეგებს შორის სარწმუნობას.

#### 4.2 კვლევის შედეგების განხილვა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, ბიოინჟინერული მეთოდების გამოყენებით, შევქმენით ბიოლოგიურად აქტიური საფენი (GEO მემბრანა), რისთვისაც გამოყენებულ იქნა ადამიანის დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ამნიონური მემბრანა და ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები. როგორც ცნობილია, მეზენქიმური ღეროვანი უჯრედები ახორციელებენ ისეთი პარაკრინული ფაქტორების სეკრეციას, როგორიცაა, სისხლძარღვთა ენდოთელიუმის ზრდის ფაქტორი (VEGF), გრანულოციტების კოლონიამასტიმულირებელი ფაქტორი, ჰეპატოციტების ზრდის ფაქტორი (HGF), ინტერლეიკინი - 6, ბეტა ტრანსფორმაციული ზრდის ფაქტორი ( $\beta$ 1 TGF) [140]. სწორედ ამ პარაკრინული ფაქტორების გამომუშვებით არის განპირობებული ის რომ, ზოგიერთ კვლევაზე დაყრდნობით, ღეროვანი უჯრედებით მკურნალობამ დადებითი ეფექტი გამოავლინა შეუხორცებადი ჭრილობების მკურნალობასა და ქსოვილების აღდგენის პროცესის გაუმჯობესებაში [141, 142].

ადამიანის ამნიონური მემბრანა შეიცავს დიდი რაოდენობით ზრდის ფაქტორებს და ციტოკინებს: ეპიდერმული ზრდის ფაქტორი (EGF), კერატინოციტების ზრდის ფაქტორი(KGF), სისხლძარღვთა ენდოთელიალური ზრდის ფაქტორი (VEGF), ალფა ტრანსფორმაციული ზრდის ფაქტორი (TGF- α), ბეტა ტრანსფორმაციული ზრდის ფაქტორი (TGF-β) და ჰეპატოციტების ზრდის ფაქტორს (HGF) [143, 144]. როგორც აღმოჩნდა, დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ამნიონური მემბრანა, შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც სამგანგანზომილებიანი სკაფორდი, უჯრედების ადჰეზიის, მიგრაციისა და პროლიფერაციისათვის. გარდა ამისა, დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ამნიონური მემბრანა ხასიათდება ანტიანთებითი და ანტიმიკრობული თვისებებით. როგორც კვლევებმა აჩვენა, ადამიანის ამნიონური მემბრანის გამოყენება ქრონიკული ჭრილობის სამკურნალოდ, იწვევს ტკივილის შემცირებას, აგრეთვე მისი გამოყენებით ხდება ფიბროგენეზის და ანგიოგენეზის გაძლიერება და უჯრედშორის სივრცეში (ECM) კომპონენტების წარმოქმნის გააქტიურება [145, 146].

თანამედროვე მსოფლიოში დიდია ინტერესი ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მიმართ, აქტიურად მიმდინარეობს ამ უჯრედების მიერ გამომუშვებული პარაკრინული ფაქტორების როლის შესწავლა.

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ადამიანის ამნიონური მემბრანის და ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გამოყენებით შექმნილი ბიოლოგიურად აქტიური საფენი ააქტიურებს ჭრილობაში ეპითელიზაციის პროცესს და აჩქარებს შეხორცების პროცესს, შესაბამისად, შეიძლება გამოყენებულ იქნას ქრონიკული შეუხორცებადი ჭრილობების სამკურნალოდ.

ჭრილობის შეხორცების სიჩქარის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მათემატიკური მოდელირების ნახევრადემპირიული მეთოდი. იგი დაფუძნებულია მათემატიკური ფუნქციის არჩევაზე, რომელიც ასახავს შერჩევით ფუნქციას, რომელიც ცდომილების ფარგლებში ემთხვევა ექსპერიმენტულ მეთოდს.

#4 ცხრილში მოცემულია ჭრილობის შეხორცების პროცესი. ცხოველთა ყველა ჯგუფში ჭრილობის ფართობი შემცირდა გარკვეული კანონზომიერების მიხედვით, რომელშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭრილობის ფართობი აღწერილია შემდეგი მათემატიკური ფორმულით:  $St = So \exp(-t/T)$ , სადაც  $T$  პარამეტრი ყველასთვის განსხვავებულია ჯგუფების მიხედვით. რაც უფრო მცირეა  $T$  პარამეტრი, მით უფრო სწრაფად ხდება ჭრილობის შეხორცების პროცესი.

$T_{1/2} = T \ln 2 \approx 0,693$ , სადაც  $T_{1/2}$  მნიშვნელობა წარმოადგენს იმ დროს, რა დროშიც ჭრილობის ფართობი 2-ჯერ შემცირდა.

ცხრილი # 4, ჭრილობის შეხორცების პარამეტრების სიჩქარე


ჭრილობის შეხორცების სიჩქარე (დღე)

	ჯგუფი I	ჯგუფი II	ჯგუფი III
$T$	11.5	4.3	3.0
$T_{1/2}$	8.0	3.0	2.1

კვლევის ფარგლებში გამოთვლილ იქნა ჭრილობის ზომების საშუალო არითმეტიკული და სტანდარტული გადახრა სამივე შესასწავლ ჯგუფში. ძირითად და საკონტროლო ჯგუფებში მიღებული შედეგების სხვაობის სარწმუნობის დასადგენად გამოთვლილ იქნა t-test. სხვაობა განხილულ იქნა სტატისტიკურად სარწმუნოდ, როდესაც  $p < 0.05$ .

### სურათი #71

სხივური თერაპიის შემდგომ წარმოქმნილი დამწვრობის ჭრილობის შეხორცების დინამიკა



სურათი #71 ასახავს ჭრილობის შეხორცების პროცესის დინამიკას სხვადასხვა ჯგუფში. როგორც ნაჩვენებია, აშკარაა, რომ გამოთვლილი მრუდები

სტატისტიკური ვარიაციის ფარგლებში ემთხვეოდა ექსპერიმენტულ მონაცემებს.

Т პარამეტრის მნიშვნელობების შედარების შემდეგ ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფისთვის, შემდეგი დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი:

- ჭრილობის შეხორცება I ჯგუფის ცხოველებში დაახლოებით 2,7-ჯერ უფრო ნელი იყო, ვიდრე II ჯგუფის ცხოველებში;
- ადამიანის დეცელულარიზებული ამნიონური მემბრანის და ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისაგან შექმნილი ბიოლოგიურად აქტიური საფენის (GEO მემბრანის) გამოყენებისას III ჯგუფის ცხოველებში, შეხორცების მაჩვენებელი 4-ჯერ გაიზარდა I ჯგუფთის ცხოველებთან შედარებით.

როგორც ჩვენი კვლევით გამოვლინდა, სხივური თერაპიის შემდგომ განვითარებული ჭრონიკული შეუხორცებადი ჭრილობის სამკურნალოდ ბიოაქტიური საფენის გამოყენებით, ჭრილობის შეხორცების პროცესში შემცირდა ანთების პროცესის გამოვლენა და ასევე, ბიოაქტიური მემბრანის კარგი სორბციული თვისების გამო, ნაკლებად გამოიხატა ექსუდაცია, რაც მთავარია, დაჩქარდა ჭრილობის შეხორცების პროცესი და ჩამოყალიბდა თხელი, ნაზი ნაწიბური.

კვლევაში ჩართულ იმ ვირთაგვებში, რომლებშიც მოხდა სხივური დამწვრობის ჭრილობის მოდელირება და დატოვებულ იქნა დეფექტი მკურნალობის გარეშე, ჭრილობის დახურვის პროცესი გახანგრძლივდა, გამოიხატა ანთება და შეხორცების შემდეგ ჩამოყალიბდა უხეში სქელი ნაწიბური.

## თავი V

### 5.1 სამეცნიერო დასკვნები

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ:

- ღეროვანი უჯრედების შემცველი ბიოაქტიური მემბრანის გამოყენება შეუხორცებადი ჭრილობების სამკურნალოდ ნაჩვენებია, როცა მკურნალობის ჩვეულებრივი მეთოდები არაეფექტურიანია დაზიანების კერის სიდიდის და სიმძიმის გამო;
- ბიოაქტიური მემბრანა უზრუნველყოფს კარკასს, რომელიც აკეთებს უჯრედშიდა მატრიქსის იმიტირებას, ხელს უწყობს უჯრედების ადჰეზიას, პროლიფერაციას, დიფერენციაციას, შესაბამისად გააჩნია რეგენერაციული პოტენციალი;
- ბიოაქტიური მემბრანა მოქმედებს როგორც ფიზიკური ბარიერი, რომელიც ხელს უშლის მიკრობების შეღწევას და ამცირებს ინფიცირების რისკს;
- ბიოაქტიური მემბრანა ქმნის ტენიან გარემოს, რომელიც ხელს უწყობს შეხორცების პროცესს;
- ბიოაქტიური მემბრანა აძლიერებს ნეოვასკულარიზაციასა და რეეპითელიზაციას, აჩქარებს ჭრილობების შეხორცების პროცესს და ყალიბდება თხელი, ნაზი ნაწიბური.

### 5.2 პრაქტიკული რეკომენდაციები

დეცელულარიზირებული ადამიანის ამნიონური მემბრანის და ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისაგან შექმნილი ბიოლოგიურად აქტიური საფენი შეიძლება გამოყენებულ იქნას ქრონიკული, შეუხორცებადი ჭრილობების სამკურნალოდ, ვინაიდან ბიოლოგიურად აქტიურ მემბრანას ახასიათებს იდეალური მემბრანის მახასითებლები: იგი ხელს უწყობს ეპითელიზაციას და უჯრედების სწრაფ პროლიფერაციას, არის თხელი, ადვილად ერგება ჭრილობის ფორმას, ქმნის ტენიან გარემოს, ახასიათებს დაბალი იმუნოგენურობა, ანთების საწინააღმდეგო და ანტიმიკრობული თვისებები, შესაბამისად, იმედისმომცემია ბიოაქტიური მემბრანის გამოყენება კლინიკურ პრაქტიკაში, რისთვისაც აუცილებელია შემდგომი კვლევები, მათ შორის კლინიკურიც და მეთოდოლოგიის დახვეწა, რათა მოხდეს მისი ფართომასშტაბიანი გამოყენება

## თავი VI

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Sen CK, Gordillo GM, Roy S, Kirsner R, Lambert L, Hunt TK, Gottrup F, Gurtner GC, Longaker MT. Human skin wounds: a major and snowballing threat - public health and the economy. *Wound Repair Regen.* 2009 Nov-Dec;17(6):763-71.
2. Kim J, Yang GS, Lyon D, Kelly DL, Stechmiller J. Metabolomics: Impact of Comorbidities and Inflammation on Sickness Behaviors for Individuals with Chronic Wounds. *Adv Wound Care (New Rochelle).* 2020 Sep 18.
3. Groppa E, Colliva A, Vuerich R, Kocjan T, Zacchigna S. Immune Cell Therapies - Improve Regeneration and Revascularization of Non-Healing Wounds. *Int J Mol Sci.* 2020 Jul 23;21(15):5235.
4. Dumville JC, Lipsky BA, Hoey C, Cruciani M, Fiscon M, Xia J. Topical antimicrobial agents for treating foot ulcers in people with diabetes. *Cochrane Database Syst Rev.* 2017 Jun 14;6(6):CD011038.
5. Ndosi M, Wright-Hughes A, Brown S, Backhouse M, Lipsky BA, Bhogal M, Reynolds C, Vowden P, Jude EB, Nixon J, Nelson EA. Prognosis of the infected diabetic foot ulcer: a 12-month prospective observational study. *Diabet Med.* 2018 Jan;35(1):78-88.
6. Yang M, Zhang G, Hansen SA, Mitchell WJ, Zhang MZ, Zhang S. Antimicrobial efficacy and toxicity of novel CAMPs against *P. Aeruginosa* infection in a murine skin wound infection model. *BMC Microbiol.* 2019 Dec 16;19(1):293.
7. Zhao R, Liang H, Clarke E, Jackson C, Xue M. Inflammation in Chronic Wounds. *Int J Mol Sci.* 2016 Dec 11;17(12):2085.
8. Shanmugam VK, Angra D, Rahimi H, McNish S. Vasculitic and auto-immune wounds. *J Vasc Surg Venous Lymphat Disord.* 2017 Mar;5(2):280-292.

9. D'Alessio I, Settembrini AM, Romagnoli S, Di Luca G, Domanin M, Gabrielli L. Successful Fat Grafting in a Patient with Thromboangiitis Obliterans. *Adv Skin Wound Care.* 2019 Dec;32(12):1-4.
9. Ham W, Schoonhoven L, Schuurmans MJ, Leenen LP: Pressure ulcers from spinal immobilization in trauma patients: a systematic review. *J Trauma Acute Care Surg* 2014;76(4):1131-1141.
10. Youn YJ, Lee J. Chronic venous insufficiency and varicose veins of the lower extremities. *Korean J Intern Med.* 2019 Mar;34(2):269-283.
11. Uccioli L, Izzo V, Meloni M, Vainieri E, Ruo-lo V, Giura- L: Non-healing foot ulcers in diabeticpatients: general and local interfering conditions and management options with advanced wounddressings. *J Wound Care* 2015, 24(4 Suppl):35-42.
12. McInnes E, Jammali-Blasi A, Bell-Syer SE, Dumville JC, Middle-n V, Cullum N. Support surfaces for pressure ulcer prevention. *Cochrane Database Syst Rev.* 2015 Sep 3;2015(9):CD001735.
13. Anders J, Heinemann A, Leffmann C, Leutenegger M, Profener F, von Renteln-Kruse W:Decubitus ulcers: pathophysiology and primary prevention. *Dtsch Arztebl Int* 2010, 107(21):371-381; quiz 382.
14. Inman KJ, Sibbald WJ, Rutledge FS, Clark BJ: Clinical utility and cost-effectiveness of an airsusension bed in the prevention of pressure ulcers. *JAMA* 1993, 269(9):1139-1143.
15. Jeffcoate WJ, Harding KG: Diabetic foot ulcers. *Lancet* 2003, 361(9368):1545-1551.
16. Williams JZ, Barbul A: Nutrition and wound healing. *Surg Clin North Am* 2003, 83(3):571-596.
17. Wang AS, Armstrong EJ, Armstrong AW: Corticosteroids and wound healing: clinicalconsiderations in the perioperative period. *Am J Surg* 2013, 206(3):410-417.
18. Gordon CR, Rojavin Y, Patel M, Zins JE, Grana G, Kann B, Simons R, Atabek U: A review onbevacizumab and surgical wound healing: an important warning - all surgeons. *Ann Plast Surg* 2009, 62(6):707-709

19. Volmer-Thole M, Lobmann R. Neuropathy and Diabetic Foot Syndrome. *Int J Mol Sci.* 2016 Jun 10;17(6):917.
20. Patel S, Srivastava S, Singh MR, Singh D. Mechanistic insight in- diabetic wounds: Pathogenesis, molecular targets and treatment strategies - pace wound healing. *Biomed Pharmacother.* 2019 Apr;112:108615.
21. Reinke JM, Sorg H. Wound Repair and Regeneration. *Eur Surg Res.* 2012;49:35–43.
22. Tibbs MK. Wound healing following radiation therapy: A review. *Radiother Oncol.* 1997;42:99–106.
23. Q. Gu, D. Wang, C. Cui, et al. Effects of radiation on wound healing *J Environ Pathol -xicol Oncol*, 17 (1998), pp. 117-123
24. A. Franklin, P. CoulterSome effects of radiation on the healing of transected mouse ear. *Radiat Res*, 100 (1984), pp. 55-64
25. R. Rudolph, T. Arganese, M. WoodwardThe ultrastructure and etiology of chronic radiotherapy damage in human skin. *Ann Plast Surg*, 9 (1982), pp. 282-292
26. H.P. Rodemann, M. BambergCellular basis of radiation-induced fibrosis *Radiother Oncol*, 35 (1995), pp. 83-90
27. E.F. Bernstein, L. Harisiadis, G.D. Salomon, et al. Healing impairment of open wounds by skin irradiation *J Derma-l Surg Oncol*, 20 (1994), pp. 757-760
28. M.C. Illsley, J.H. Peacock, R.J. McAnulty, J.R. YarnoldIncreased collagen production in fibroblasts cultured from irradiated skin and effect of TGF beta(1)- clinical study *Br J Cancer*, 83 (2000), pp. 650-654 View Record in ScopusGoogle ScholarBr J Cancer, 83 (2000), pp. 650-654
29. A. Gurung, F. Uddin, R.P. Hill, P.C. Ferguson, B.A. AlmanBeta-catenin is a media-r of the response of fibroblasts - irradiation *Am J Pathol*, 174 (2009), pp. 248-255 ArticleDownload PDFView Record in ScopusGoogle Scholar

30. Q. Gu, D. Wang, Y. Gao, et al. Expression of MMP1 in surgical and radiation-impaired wound healing and its effects on the healing process. *J Environ Pathol -xicol Oncol*, 21 (2002), pp. 71-78
31. F. Riedel, K. Philipp, H. Sadick, et al. Immunohis-chemical analysis of radiation-induced non-healing dermal wounds of the head and neck *In Vivo*, 19 (2005), pp. 343-350
32. D.G. Baker, R.J. KrochakThe response of the microvascular system - radiation: a review. *Cancer Invest*, 7 (1989), pp. 287-294
33. J.W. Doyle, Y.Q. Li, A. Salloum, et al. The effects of radiation on neovascularization in a rat model *Plast Reconstr Surg*, 98 (1996), pp. 129-139
34. M.S. Anscher, L. Chen, Z. Rabbani, et al. Recent progress in defining mechanisms and potential targets for prevention of normal tissue injury after radiation therapy. *Int J Radiat Oncol Biol Phys*, 62 (2005), pp. 255-259
35. K.K. Richter, L.M. Fink, B.M. Hughes, et al. Is the loss of endothelial thrombomodulin involved in the mechanism of chronicity in late radiation enteropathy? *Radiother Oncol*, 44 (1997), pp. 65-71
36. T. Sugihara, Y. Hat-ri, Y. Yamamo-, et al. Preferential impairment of nitric oxide-mediated endothelium-dependent relaxation in human cervical arteries after irradiation *Circulation*, 100 (1999), pp. 635-641
